# მესაკუთრე

№ 9
ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს | 7-10 დეკემბერი | 1996 წელი

## სამიტმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ტერიტორიული მთლიანობა

2-3 დეკემბერს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში შედგა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ესწრებოდა.

4 დეკემბერს სახელმწიფო კანცელარიაში ამ საკითხზე უცხოელი და ქართველი ჟურნალისტებისათვის პრეზიდენტის ინიციატივით პრესკონფერენცია გაიმართა.

როგორც გაირკვა, მსგავსი შეხვედრები ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ამჯერად მასში მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს წევრი 54 სახელმწიფოს მეთაურმა და სხვა მაღალი თანამდებობის პირმა.

მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტული შეხვედრის მიზანი იყო ბუდაპეშტის შეხვედრიდან გასული ორი წლის პერიოდში მომხდარი ევროპის კონტინენტზე შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შეფასება, შეეჯამებინა უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მიზნით ეუთო-ს მიერ გაწეული მუშაობა და დაესახა კონტინენტზე მშვიდობის დამყარების სამომავლო გეგმა.



როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, "ფორუმს წინ დიდი მოცულობის მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა, რომელთა მიზანი იყო სამიტზე განსახილველად და მისაღებად სათანადო დოკუმენტების მომზადება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო მარტივი პროცესი, ბოლო დრომდე გრძელდებოდა აზრთა ურთიერთგაზიარება, ზოგიერთი პრინციპული საკითხის შეჯერება".

ფორუმის მონაწილენი თავიანთ გამოსვლებში ყურადღებას ამახვილებდნენ კონტინენტზე არსებული ვითარების გაუმჯობესების უკვე გამოკვეთილ ტენდენციებზე, თუმცა ხშირად ხდებოდა იმის აღნიშვნა, რომ არსებობს პრობლემები მშვიდობის მყარი გარანტიის საქმეში.

"ჩემს გამოსვლაში ხაზი გაესვა იმას, რომ თვითდამშვიდების არავითარი საფუძველი არ არსებობს", - აღნიშნა ბატონმა შევარდნაძემ.

საქართველოს შეხედულებებს სამიტზე აქტიურად დაუჭირეს მხარი უკრაინის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა.

ფორუმზე მიღებული იქნა ორი უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი: "ლისაბონის სამმიტის დეკლარაცია" და "21-ე საუკუნისათვის ევროპის უსაფრთხოების საერთო და ყოვლისმომცველი დეკლარაცია".

პრეზიდენტის აზრით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია "ლისაბონის სამმიტის დეკლარაცია". ეს დეკლარაცია ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულების, ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გააქტიურების გარდა, ჩვენთვის ორ ძალიან პრინციპული მნიშვნელობის პარაგრაფს შეიცავს.

მე-10 პარაგრაფში დაგმობილია ეთნიკური წმენდისა და მოსახლეობის მასობრივი განდევნის პოლიტიკა. აღებულია ვალდებულება, რომ წევრები ხელს შეუწყობენ ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირების უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მე-20 პარაგრაფში, რომელიც სპეციალურად საქართველოს ეხება, დაგმობილია აფხაზი სეპარატისტების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდა. აქვე დაგმობილია სეპარატისტული რეჟიმების დესტრუქციული ქმედებები, რაც ლტოლვილების დაბრუნების ხელისშემლასა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არჩევნების ჩატარებაში გამოიხატება.

გადაწყდა, რომ გაერო, ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები კვლავ აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სამშვიდობო პროცესებში.

**გიორგი ბალავაძე**

## შეიძლება გაჩნდეს ტენდენცია საწარმოების სპეციალურად გაკოტრებისა

ქონების მართვის სამინისტროში მინისტრის მოადგილის ბატონ გურამ დიდბარიძის ხელმძღვანელობით გაიმართა პრესკონფერენცია. პრესისა და ტელევიზიის თანამშრომლებთან შეხვედრას ესწრებოდნენ საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს უფროსი ბატონი მერაბ გაბუნია და სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი ზაზა გრიგალაშვილი.

ბატონმა გურამმა დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ სამინისტროს უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის სამმართველოს მიერ უკვე მომზადდა და ბრძანებით დამტკიცდა საკითხი შპს "კომეტას" მიერ იჯარით აღებული სახელმწიფო ქონების გამოსყიდვის კანონიერებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შესახებ. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალაქის ქონების აღრიცხვისა და მართვის საკითხების სამმართველოს უფროსი. კომისიამ დაიწყო დედაქალაქში უძრავი ქონების გამოყენების კანონიერების შემოწმება.

ბატონმა დიდბარიძემ აღნიშნა, რომ სააქციო საზოგადოება "ტრანსმშენთან" ფორმდება ხელშეკრულებები მთელი რიგი ობიექტების სამეურნეო სარგებლობაში გადასვლის შესახებ, ხოლო დანარჩენი ობიექტები გადაეცემა ქალაქის მერიას. ამასთანავე ჩატარდა თბილისში განლაგებული სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მართვის პროცესის სრულყოფისათვის შექმნილი კომისიის პირველი სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამინისტროს თანამშრომლებიც. სხდომაზე განაწილდა ფუნქციები კომისიის წევრებს შორის და მიეცათ დავალებები თბილისის რაიონულ სამმართველოებს მათ ტერიტორიაზე განლაგებული უძრავი ქონების აღწერითი სამუშაოების დასაწყებად. ამის გარდა მომზადდა სამინისტროს ბრძანება 1996 წ. საპრივატიზაციო ობიექტების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ და კანონპროექტი სახელმწიფო ავტონომიური და მუნიციპალური საკუთრების უფლებათა გამიჯვნის თაობაზე.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ რკინიგზის სადგურთან მდებარე უნივერმაღ "ბავშვთა სამყაროს" შრომითმა კოლექტივმა ქონების მართვის სამინისტროში შეიტანა საჩივარი უნივერმაღის პრივატიზების კანონიერების თაობაზე, რაზედაც ბატონი დიდბარიძის განცხადებით მომზადდა ბრძანება სავაჭრო ფირმა "ბავშვთა სამყაროს" პრივატიზების კანონიერების შემოწმების მიზნით კომისიის შექმნაზე. სამინისტროს აზრით, უნივერმაღი ძალიან დაბალი ფასითაა შეფასებული, ვინაიდან არასწორადაა შერჩეული კოეფიციენტი, იგი უნდა იყოს 4-დან 1,2-მდე ქალაქის სხვადასხვა რაიონების მიხედვით. რატომღაც შერჩეულია 1,2, ხოლო უნდა იყოს სულ ცოტა 3,5-3,8 მაინც.

"მეწარმეთა შესახებ" კანონთან შე-

(დასასრული მე-2 გვ.)

## საქართველოში დაუსჯელობის სინდრომი დამკვიდრდა

საქართველოში ალბათ ადამიანი არ მოიძებნება, რომელსაც არ აინტერესებდეს საქართველოს ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს მიერ 1993 წელს აღებული თურქული კრედიტის (8,9 მლნ აშშ დოლარი) ათვისების მდგომარეობა.

1993 წლის 12 თებერვალს თურქეთის "ექსიმბანკსა" და საქართველოს "ექსიმბანკს" შორის გაფორმებული საკრედიტო შეთანხმების ფარგლებში თურქეთის მთავრობამ საქართველოსათვის გამოყო კრედიტი 50 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

შეთანხმების თანახმად სესხის გაცემის ძირითადი პირობები იყო შემდეგი:

- თურქეთის მხრიდან მოწოდებული პროდუქციის მინიმუმ 50% უნდა იყოს თურქული წარმოების;
- კრედიტით იხურება მოწოდებული საქონლის ღირებულების მხოლოდ 95%, საქართველოს მხარე იხდის დარჩენილ 5%-ს;
- წლიური პროცენტული გადასახადია LIBOR+1%;
- პროცენტის გადახდის პერიოდია ყოველი 6 თვე;
- კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, შემდეგი სქემის მიხედვით: 40% - 40% - 20%, დაწყებული კონკრეტული პროექტით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების თარიღიდან;
- ნებისმიერი თანხის გადაუხდელობა (იქნება ეს ძირითადი თანხა თუ პროცენტი) ჯარიმდება დამატებითი პროცენტით LIBOR+4% ყოველი გადაუხდელი თანხიდან;
- კრედიტის დაფარვა წარმოებს საიმპორტო დოკუმენტური, არაგაუქმებადი და არაგადაცემადი აკრედი-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

### ყურადღება!

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებს ვაცნობებთ, რომ გაზეთ "პრივატიზების მაცნეს" რედაქციის რეორგანიზაციისა და სახელის შეცვლასთან დაკავშირებით შეიცვალა ჩვენი ანგარიში.

დღეიდან ჩვენი რეკვიზიტებია: ს.კ.ბ. "საქართველოს ბანკი", მფო 521017, ა/ა 008467741

შპს გაზეთ "მესაკუთრე"-ს რედაქცია.

## კანონპროექტმა დაწვრილებით განსაზღვრა სახელმწიფო კანცელარიის სტატუსი

5 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად ჩვენთვის ერთი უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი განიხილეს.

აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა სახელმწიფოს ორგანიზმში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია. იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ ისაუბრა სამინისტროში მომზადებულ კანონპროექტზე "აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურის და საქმიანობის წესის შესახებ".

კანონპროექტი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის კიდევ ერთ ცდას. იგი ემყარება აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა დაყოფას ორ ძირითად ჯგუფად: სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებად.

კანონპროექტის მიხედვით, სამთავრობო დაწესებულებებია სამინისტრო, სახელმწიფო კანცელარია, სახელმწიფო დეპარტამენტი და სახელმწიფო ინსპექცია.

ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ როგორც ძირითად ამოცანას. სახელმწიფო

(დასასრული მე-2 გვ.)

### ნომერში:



კანონპროექტმა დაწვრილებით განსაზღვრა... გვ.2



ხელშეუხებლობა გნებავთ? კი ბატონო, ინებეთ! გვ.5



დიდი ბიოგრაფიები გვ.6



პრეტენდენტები უკვე ცნობილია გვ.8

ნომერში:

# კანონპროექტმა დაწვრილებით განსაზღვრა სახელმწიფო კანცელარიის სტატუსი



(დასასრული)

საქვეუწყებო დაწესებულება ასრულებს სახელმწიფოებრივ ამოცანებს სოციალურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში და მის ძირითად მიზანს არ შეადგენს აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება.

ბატონი თედოს განმარტებით, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებები შედიან ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სისტემაში და მოქმედებენ საქართველოს კონსტიტუციის, ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების, საქართველოს კანონმდებლობის და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე.

კანონპროექტის მიხედვით სამთავრობო დაწესებულებების სტრუქტურული ქვედანაყოფი და საქმიანობის სფერო, თუ ისინი განსაზღვრული არ არის კანონით, განისაზღვრება სამთავრობო დაწესებულებათა დებულებებით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამთავრობო დაწესებულებები კანონპროექტში ერთმანეთისაგან გამიჯნულია კომპეტენციის მიხედვით. ისინი კანონის შესაბამისად ან კანონის საფუძველზე ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობას, სახელმწიფო ზედამხედველობის ან სახელმწიფო იძულების ფუნქციებს.

კანონპროექტი განსაზღვრავს სახელმწიფო კანცელარიის სტატუსს, სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილების, აგრეთვე იგი იძლევა პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და მისი ადმინისტრაციის სტატუსის განსაზღვრას.

ცალკე თავი ეთმობა სამსახურეობრივი ზედამხედველობის სფეროში საქართველოს პრეზიდენტის, სახელმწიფო მინისტრის, მინისტრების უფლებამოსილებებს და მათი განხორციელების წესებს.

კანონპროექტში სახელმწიფო ორგანოები მკვეთრად გამიჯნულია იმ ორგანოებისაგან, რომლებიც სამეურნეო ურთიერთობის სუბიექტები არიან და ხელისუფლებით უფლებამოსილებებს არ ასრულებენ.

იმედია, ეს კანონი ხელს შეუწყობს აღმასრულებელი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას და ბოლოსდაბოლოს გაირკვევა, ვის რისი უფლება აქვს და რაზე შეიძლება პასუხისმგებლობის აღება.

**გოგა გოგრიჭიანი**

(დასასრული)

საბამისობაში მოყვანის მიზნით მიმდინარეობს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში არსებული სააქციო საზოგადოებებში ჩატარებული კრებებისა და მეთვალყურეთა საბჭოს არჩევის კანონიერების შემოწმება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გაეგზავნა შენიშვნები და წინადადებები საქართველოს კანონში "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე. კერძოდ, მინისტრს მიაჩნია, რომ: "სასამართლომ საქმის წარმოების განხილვისათვის უნდა მოუსმინოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, თუ გაკოტრებულ საწარმოში არის სახელმწიფო საკუთრების წილი".

ბატონმა გურამმა თავისი საუბრისას ჟურნალისტების ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ შეიძლება გაჩნდეს ტენდენცია სააქციო საზოგადოებების სპეციალურად გაკოტრებისა. მაგალითად, ღვინის ქარხანა "ზეგანი" თავის ღირებულებაზე 220000 დოლარით უფრო იაფად გაიყიდა.

ქონების მართვის სამინისტროს აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც ვალაუვალი მოვალის ქონების ნახევარზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაა, სასამართლომ გაკოტრების მმართველად სამინისტროს წარმომადგენელი უნდა დანიშნოს, ამასთანავე სახელმწიფო საკუთრების საწარმოთა (წილის) გაყიდვიდან დარჩენილი თავისუფალი ნაშთი განაწილდება პრივატიზებიდან ამონაგები თანხების განაწილების დადგენილი წესის შესაბამისად. ეს ყოველივე ზემოთმოყვანილი ღვინის ქარხნის მაგალითზეც ნათლად ჩანს, ვინაიდან მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა "ზეგანი"-ს ასე იაფად გაყიდვა, თანაც იმ დროს, როცა ამ ქარხანაში სახელმწიფოს წილი 97%-ს შეადგენს.

ამჟამად მომზადებულია ხელშეკრულებების პროექტები იმ სააქციო საზოგადოებების საკონტროლო პაკეტების მართვის უფლებით გადაცემის შესახებ დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებიც შედიოდნენ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 23 მაისის №335 ბრძანებულებით დამტკიცებულ ნუსხაში.

ამასთანავე დამუშავებულია ბრძანება მშენებლობისა და ურბანიზაციის, აგრეთვე ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროებისათვის ზოგიერთი სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტების მართვის უფლებით გადაცემის შესახებ. მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მართვის უფლებით გადაეცა 36 ს/საზოგადოებათა აქციათა პაკეტები, ხოლო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს მართვის უფლებით გადაეცა 5 სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტი. ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიული ორგანოებისათვის იმ ს/ს-ის აქციათა პაკეტების მართვის უფლებით გადაცემა, სადაც სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილია აქციათა 51%-ზე ნაკლები.

**შეიძლება გაჩნდეს საწარმოების სპეციალურად გაკოტრების ტენდენცია**

ბატონმა გურამ დიდბარიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მომზადდა და დამტკიცდა №6 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხა. დღესდღეობით მიმდინარეობს №3 სპეციალიზებული აუქციონის შედეგების შეჯამება. დაგეგმილია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამთავრობო შეთანხმების პროექტის შედგენა "ქონებრივი საკითხების ურთიერთცნობისა და აღიარების თაობაზე".

უკვე მომზადებულია საზედამხედველო საჩივარი ბოლნისის რაიონის სასამართლოს 13.06.96 წ. №1-3/427 ბრძანების სააქციო საზოგადოება "ბოლნისის ტუფის" აქციათა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდისათვის გადაცემის შესახებ.

უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაეგზავნა სასარჩელო განცხადება ხობის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების და სამკერვალო საამქროს იჯარაზე გასვლის კანონიერების თაობაზე.

ბატონმა დიდბარიძემ აღნიშნა, რომ უკვე მზადაა ბრძანების პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საწარმოო გაერთიანება "საქტარაშეფუთვას" შორის დადებულ საიჯარო ხელშეკრულების დროს გადახდილი თანხების კანონიერების თაობაზე.

სულ მალე ძალაში შევა მინისტრის ბრძანების პროექტი ჯანდაცვის ობიექტების II პრივატიზების ეტაპის დაწყების შესახებ, დამტკიცებულია 70 ობიექტის ნუსხა, რომელთა პრივატიზაცია მოქმედებს რესპუბლიკის მასშტაბით, აქედან 15 ობიექტი თბილისის ტერიტორიაზეა.

თავისი გამოსვლის ბოლოს, ბატონმა გურამმა განაცხადა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის სამთავრობო დელეგაციასთან მოლაპარაკებაში, რუსეთის ჯარების განსათავსებლად და ფუნქციონირებისათვის ქონების გადაცემის წესის თაობაზე. ბატონი დიდბარიძის სიტყვებით, ხელმოწერილია ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. უახლოეს პერიოდში მოხდება ამ ქონების ინვენტარიზაცია, რომლის დამთავრებაც ა/წ იანვრისათვის არის დაგეგმილი, ხოლო თუ რა სარგებლობით იქნება გადაცემული ქონება რუსულ მხარეზე, ამაზე მოლაპარაკება კვლავ გრძელდება.

# საქართველოში დაუსჯელობის სინდრომი დამკვიდრდა

(გაგრძელება)

ტივით, რომელიც არ შეიცავს გადავადებული გადახდის პირობებს.

კრედიტის გაცემის ასეთი პირობები, როგორც ვადების, ასევე დაფარვის თვალსაზრისით, იმდენად მკაცრი და ძნელად შესასრულებელი იყო, რომ საქართველოს მხარეს მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა შეთანხმების თაობაზე ჩატარებული მოლაპარაკებებისას, კრედიტის გაცემის პირობების ლიბერალიზაციის მისაღწევად საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე სესხის ამღები ორგანიზაციებიდან მოითხოვდა საკრედიტო პროექტების სრულყოფილ და ობიექტურ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, კრედიტის გამოყენების ეფექტურობის, ათვისების და დაფარვის თვალსაზრისით.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 29 ოქტომბრის № 21/39 საოქმო გადაწყვეტილებით აღნიშნული კრედიტის ფარგლებში ყოფილ ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს გამოეყო სესხი 8.950.856,00 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს "ექსიმბანკსა" და ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კრედიტის ვადაა 3 წელი, ხოლო დავალიანების დაფარვის გრაფიკი ასეთია: 40%+40%+20%. საპროცენტო განაკვეთია LIBOR+1%, ხოლო ვადაგადაცილების პროცენტია LIBOR+4%. სამინისტროს ბანკისათვის უნდა გადაეხადა მომსახურეობისათვის საკონტრაქტო ღირებულების 6%, შემდეგი პერიოდულობით: 1994 წ. 30 მაისამდე - 2%, 1994 წ. 30 აგვისტომდე - 2%, 1994 წ. 30 ნოემბრამდე - 2%.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს პროექტის თურქული კრედიტით დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღება არ მომხდარა სრული ერთსულოვნებისა და მხოლოდ დადებითი შეფასების პირობებში. ამაზე მეტყველებს საქართველოს ყოფილი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 29 სექტემბრის №105/23 დავალებაზე გაგზავნილი წერილი (№01-01/1522, 18.10.1993 წ.), რომელიც ვალის დაფარვასთან დაკავშირებული ამჟამინდელი მდგომარეობის ერთგვარ პროგნოზსაც კი წარმოადგენს.

ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს თურქეთის ფირმებთან გაფორმებული აქვს 4 კონტრაქტი:

- ფირმა "სარფ"-თან, ქ. სტამბოლში 09.01.94 წ., რომლის თანახმად მოწოდებული იქნა აკუმულატორები და პულოვერები - 1.281.250,00 აშშ დოლარის ღირებულებით;
- ფირმა "უნიკომ"-თან, ქ. სტამბოლში 09.01.94 წ., რომლის მიხედვით მოწოდებულ იქნა მარგარინი, ფარდები, მაგიდის გადასაფარებლები, კაფელი, მეტლახი, მაცივრები და მანქანის საბურავები - 4.525.739,00 აშშ დოლარის ღირებულებით;
- ფირმა "სოვტურ"-თან, ქ. სტამბულში 09.01.94 წ., რომლის მიხედვით მოწოდებული იქნა სანტექნიკა და სამომხმარებლო საქონელი - 1.171.250,00 აშშ დოლარის ღირებულებით;
- ფირმა "საიდამ"-თან, ქ. სტამბულში 21.09.93 წ., რომლის მიხედვით მოწოდებული იქნა ტყავის ნაწარმი, ფეხსაცმელი, კოსმეტიკა და სხვ. - 1.972.617,00 აშშ დოლარის ღირებულებით.

სამინისტროს მიერ კრედიტით აღებული ვალის უზრუნველსაყოფად "ექსიმბანკს" გააჩნია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგარანტიო წერილი, რომლის მიხედვით ფინანსთა სამინისტრო კისრულობს ვალდებულებას სამინისტროს მიერ ძირითადი ვალის, პროცენტის და სხვა ხარჯების გადაუხდელობის შემთხვევაში, უპირობოდ, თვითონ დაფაროს წარმოშობილი ვალი და სხვა ხარჯები.

ამჟამად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გაერთიანებულ ქართულ ბანკს შორის 1996 წლის 20 მაისს დადებული შეთანხმების თანახმად ბანკის ყველა უფლება და ვალდებულება, გამომდინარე საკრედიტო ხელშეკრულებიდან თურქეთის "ექსიმბანკსა" და საქართველოს "ექსიმბანკს" შორის, გადასულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე.

კრედიტის თანხიდან შესყიდული დაახლოებით 1450 ტონა მარგარინი, საერთო ღირებულებით 1,2 მლნ აშშ დოლარი, მიეყიდა მოსახლეობას სიმბოლური ფასით 1 კგ. - 24 ათას კუპონად, ანუ დაახლოებით 6 (?) ცენტად.

დარჩენილი 7,7 მლნ აშშ დოლარით შესყიდული და შემოზიდული იქნა ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი, სამკერვალო, საგალანტერიო და ტყავის საქონელი, მაცივრები, ავტოსაბურავები, აკუმულატორები, სანტექნიკური მოწყობილობა, კაფელისა და მეტლახის ფილები, ელექტროსაქონელი, პარფიუმერია და სხვა, რომელიც განთავსდა სააქციო საზოგადოებებში "ზევსი", "წალა", და "სამეურნეო საქონელში". ს/ს "წალას" თურქული კრედიტის ფარგლებში მიღებული ჰქონდა 337.000 აშშ დოლარის საქონელი, საიდანაც ს/ს "ზევსს" 1994 წლის 8 და 26 დეკემბერს გადასცა სულ 202.385 აშშ დოლარის საქონელი, დანარჩენი 134.615 აშშ დოლარის საქონელი კი გაცემულია საცალო ქსელში.

აღნიშნული საქონლის მიმოქცევის ხარჯებისა და მოსახლეობაზე დაბალ ფასებში გაცემული მარგარინის ღირებულების კომპენსაციის გათვალისწინებით განისაზღვრა სარეალიზაციო ფასი დაახლოებით 9.851.600,00 აშშ დოლარი. ასე რომ, ისედაც ძვირი და ძნელად რეალიზებადი საქონელი კიდევ უფრო გაძვირდა ამგვარი ფასწარმოქმნის გამო, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო შეამცირა მათი რეალიზების შანსი.

დღეისათვის სარეალიზაციოა 6,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, გადაუწყვეტელია ქ. როსტოვის შ.პ.ს. "ზარიაზე" 1995 წლის 29 მაისს დადებული ხელშეკრულებით გადატვირთული დაახლოებით 1,2 მლნ აშშ დოლარის საქონლის თანხის ამოღების ბედი.

ჯამში, სამეურნეო საქონლის რეალიზაციის შედეგად, ბანკში ჩარიცხულია დაახლოებით 1,43 მლნ აშშ დოლარი. დანარჩენი საქონელი გაცემულია ნატურით სხვადასხვა მომსახურებისათვის, მოპარულია ან ჩამოწერილია მტვრევის გამო.

აღსანიშნავია, რომ არის შემთხვევები, როდესაც საცალო ქსელი არ აბრუნებს მათ მიერ გაყიდული საქონლის თანხებს და მათ იყენებს არადანიშნულებისამებრ. ასეთი თანხის საერთო რაოდენობა დაახლოებით 110 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

ამჟამად გაძნელებულია აღნიშნული საქონლის რეალიზაცია, რადგან სავაჭრო ობიექტებში ამ საქონელთან ერთად შედარებით დაბალ ფასებში იყიდება სხვა გზით შემოტანილი ანალოგიური სახის პროდუქცია. მოუწესრიგებელია თანხების ჩარიცხვის საკითხიც. ეს ერთის მხრივ იმით არის გამოწვეული, რომ საქონლის გამცემი ვერ აკონტროლებს ნავაჭრი თანხების აკუმულირებას, რადგან ობიექტები პირდაპირ რიცხავდნენ თანხებს ჯერ ს/ს "აისბერგის" სავალუტო, შემდეგ კი ყოფილი ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს, ახლა კი ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტში გახსნილ სპეცანგარიშზე.

ანალიზი ცხადყოფს, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი კრედიტიდან დაფარულია მხოლოდ წინასწარი სავალდებულო 5%-იანი გადასახადი 421 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. დღემდე რეალიზაციით მიღებული თანხები და ნატურით გაცემული საქონლის ღირებულება მოხმარდა საქონლის ტრანსპორტირების, შენახვა-დაცვის, რეალიზაციასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს, ბანკის მომსახურეობის %-ს, ძირითადი ვალის ვადაგადაცილების %-ს და გადაუხდელობის გამო %-ის პროცენტების გადახდას.

ამდენად დღეისათვის ბაზებსა და საცალო ქსელში დარჩენილი ნაშთები თანხით დაახლოებით 6 მლნ აშშ დოლარი არსებულ ფასებთან რომ გაიყიდოს (რაც ძნელად წარმოსადგენია) და ამოსაღები თანხებიც 1,35 მლნ აშშ დოლარის ოდენობით მთლიანად იქნეს ამოღებული, ვალს (8,5 მლნ აშშ დოლარი) ვერ ფარავს.

თურქეთის რესპუბლიკის კრედიტით შემოზიდული საქონლის რეალიზაციის საქმეში არსებული ზემოაღნიშნული მძიმე ფაქტიური მდგომარეობა განაპირობებს კრედიტის ვალის დაფარვის გრაფიკის დარღვევას და შესაბამისად სხვადასხვა ხასიათის საჯარიმო სანქციების გავრცელებას საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროზე (როგორც ვალის მემკვიდრეზე) სა-

(დასასრული მე-3 გვ.)

## გასწორება

რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მე-4 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხაში გაიპარა უზუსტობა. ნუსხის 34 პუნქტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: "ქუთაისის სააქციონერო საზოგადოება "წისქვილი"".

(დასასრული)

გადასახადო, საბიუჯეტო-საფინანსო და სხვა სამსახურების მიერ. ყოველივე ამის გათვალისწინებით ვითარება კიდევ უფრო მძიმდება. შესაძლებელი ხდება სამინისტროს მიერ 1996 წლის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 3,6 მილიონი ლარის ბიუჯეტში შეტანა. აქედან დღეისათვის არსებული მონაცემებით ჩარიცხულია 499,4 ათასი ლარი. ვერ მოხერხდა აგრეთვე 1995 წელს საკრედიტო კონტრაქტით გათვალისწინებული 3,4 მილიონი აშშ დოლარის შეტანა გაერთიანებულ ქართულ ბანკში. ზემოთ აღნიშნულ თანხას ემატება საჯარიმო სანქციებით გათვალისწინებული გადაუხდელობის პროცენტი. ყურადსაღებია ისიც, რომ კრედიტის დაფარვის საბოლოო ვადა 1997 წლის აპრილია.

ამის გამო სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია გაცემული საქონლის ღირებულების ბიუჯეტში შეუტანლობისათვის სამინისტროს აკისრებს 579.741,77 აშშ დოლარის დამატებით გადახდას დღგ-ს და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის შესაბამისი საურავების დარიცხვის გათვალისწინებით.

ამ ვითარებაში თურქეთის კრედიტის ძირითადი ვალის დასაფარად ჯერ თანხა არ წარმართულა და ფაქტიური რეალიზაციიდან ამოცენებული ფულადი სახსრები (დაახლოებით 1,43 მლნ აშშ დოლარი) პრაქტიკულად მოხმარდა მხოლოდ კრედიტის პროცენტის, ანგარიშსწორების დაგვიანების პროცენტის პროცენტისა და ბანკის მომსახურეობის ხარჯების დაფარვას.

გადასაწყვეტია დაახლოებით 6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ძნელადსარეალიზაციო თურქული საქონლის შემდგომი ბედი, მიღება-რეალიზაციის პროცესში ამოცენებული 199 ათასი აშშ დოლარის გაუთვალისწინებელი ხარჯების, როსტოვის ფირმა "ზარიაზე" გადატვირთული საქონლის ღირებულების ამოღების, აგრეთვე მასთან დაკავშირებული 579.741;25 აშშ დოლარის (დღგ-ის და საქართველოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დაგვიანებისათვის შესაბამისი საურავების) დაფარვის საკითხი.

მძიმე ვითარებაა დღევანდელ დღეს საქონლის შენახვის და დაცვის თვალსაზრისით. დაცვის თანხას სააქციონერო საზოგადოებები იხდიან მათ მიერ მიღებული სავაჭრო დათმობიდან (გაყიდული საქონლის ღირებულების 2%). ვინაიდან აღნიშნულ ეტაპზე რეალიზაციამ მკვეთრად იკლო, ვერ ხერხდება სავაჭრო დათმობის მიღება და შესაბამისად საწყობების დაცვა-შენახვის ხარჯების გაწევა, რაც თავისთავად ქმნის საქონლის გაქურდვის საშიშროებას. საქონლის რეალიზაციის გაჭიანურების გამო იგი კარგავს სასაქონლო სახეს, მოდიდან გამოდის, ზოგიერთ მათგანს კი გაუდის მოხმარების ვადა (პარფიუმერია, აკუმულატორები და სხვ.)

ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროში შეიქმნა თურქეთის რესპუბლიკის კრედიტის (50 მლნ აშშ დოლარი) ათვისების მდგომარეობის შემსწავლელი კომისია, რომელიც აცხადებს, რომ ყოფილი ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს მიერ აღებული კრედიტის თანხიდან შესყიდულია 1.448,52 ტონა მარგარინი 1.213.760,00 აშშ დოლარის ღირებულებისა (კონტრაქტით გათვალისწინებული იყო 1450 ტონა, მაგრამ დანაკლისმა თურქეთის მხრიდან შეადგინა 1,48 ტონა ანუ 1240 აშშ დოლარი), რომელიც 1994 წელს მიეყიდა მოსახლეობას ნორმირებული წესით სიმბოლურ ფასებში (1 კგ. - 24 ათასი კუპონი, დაახლოებით 0,062 აშშ დოლარი), იმ ვარაუდით, რომ მოსახლეობაზე შეღავათიან ფასში გაცემული მარგარინის ღირებულების კომპენსაცია გადაიფარებოდა სხვა საქონელზე სარეალიზაციო ფასის გაზრდით. საქართველოს ფარგლებში ტრანსპორტირების დროს გაძარცვული 37,3 ტონა მარგარინის ღირებულება 31.219,00 აშშ დოლარი დაფარულია ფოთის პორტის (14.115,00 აშშ დოლარი) და რკინიგზის დეპარტამენტის (17.147,00 აშშ დოლარი) მიერ და ჩარიცხულია №4 მაცივარკომბინატი სავალუტე ანგარიშზე "ექსიმბანკში". რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხები 28.375.000,00 კუპონი ანუ 84.200,00 აშშ დოლარი მთლიანად წარმართულია თურქეთიდან შემოსული საქონლის გადაზიდვის, საბაჟო მომსახურეობის და სხვა ხარჯებში.

დარჩენილი 7,7 მლნ აშშ დოლარით შესყიდული და შემოზიდული იქნა ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი, სამკერვალო, საგალანტერიო და ტყავის საქონელი, აგრეთვე მაცივრები, ავტოსაბურავები, აკუმულიატორები, სანტექნიკური მოწყობილობა, კაფელისა და მეტლახის ფილები, ელექტროსაქონელი, პარფიუმერია და სხვა, რომელიც განთავსდა სააქციო საზოგადოებებში "ზევსი", "წალა, და "სამეურნეო საქონელში".

აღნიშნულ საქონელს მიმოქცევის ხარჯებისა და მარგარინის ღირებულების კომპენსაციის გათვალისწინებით (1994 წ. 17 თებერვლის № თ.ხ. 02/07 ბრძანებით) განისაზღვრა მთლიანი მისაღები საქონლის სარეალიზაციო ღირებულება მარგარინის გარეშე - 9.851.600,00 აშშ დოლარი.

საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისას დაფიქსირებულია ვაგონის დაწვით (17.760,00 აშშ დოლარი) და მტვრევით (62.034,00 აშშ დოლარი) გამოწვეული ზარალი 79.794,00 აშშ დოლარი. ამის გათვალისწინებით საბითუმო ბაზებში მიღებულია საქონელი საერთო ღირებულებით 9.771.812,00 აშშ დოლარი.

ყოფილი ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს 1994 წლის 17 მარტის №25 და 1994 წლის 31 მაისის №51 ბრძანებით მოხდა ფასების კორექტირება, რამაც გამოიწვია სარეალიზაციო საქონლის მთლიანი ღირებულების შემცირება 231.154,00 აშშ დოლარით და ამგვარად სარეალიზაციო საქონლის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 9.540.658,00 აშშ დოლარი.

1996 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით ზემოაღნიშნულ სააქციო საზოგადოებებიდან ფიქსირებულ ფასებში გაცემულია ქსელში და სხვა ორგანიზაციებში 4.242.537,00 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. მათ შორის:

- 2.144.812,00 აშშ დოლარის სამრეწველო საქონელი მთლიანად რეალიზებულია;
- 4.245,00 აშშ დოლარის საქონელი გაქურდულია თელავის ქალაქვაჭრობიდან;
- 8.909,00 აშშ დოლარის საქონელი გაქურდულია კომერციული ფირმა "ზაშური"-დან;
- 7.444,00 აშშ დოლარის საქონელი არ აღმოჩნდა სავაჭრო სახლში "სამეურნეო საქონლის" მაღაზია №64-ში;
- 2.620,00 აშშ დოლარის საქონელი (ფილები) სახელმწიფო საწარმო "ნიკე-91"-ის მიერ ჩამოწერილია მტვრევის გამო;
- 861.727,00 აშშ დოლარის საქონელი ირიცხება საცალო ქსელში ნაშთად;
- 1.212.780,00 აშშ დოლარის საქონელი გადატვირთულია ქ. როსტოვის შ.პ.ს. "ზარიაზე" 1995 წლის 29 მაისს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, საიდანაც თანხა ჯერჯერობით გადმორიცხული არ არის (კონტრაქტი თან ერთვის).

"ზარიას" ანგარიშსწორება უნდა მოეხდინა საქონლის მიღებიდან სამ დღეში 25%, ხოლო დანარჩენი 75% ორი თვის განმავლობაში, მაგრამ "ზარიას" დღემდე არავითარი ანგარიშსწორება არ განუხორციელებია.

კონტრაქტის შესაბამისად "ზარიას" მიერ მიღებული საქონლის საფასურის დროულად გადახდის გარანტად გვევლინება შვეიცარული ფირმა "ალბატროს ჰოლდნიგ ლიმიტედ"-ი.

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კონტრაქტში არ არის მითითებული "ზარიას" და "ალბატროს ჰოლდინგ ლიმიტედ"-ის სრული რეკვიზიტები, კერძოდ არ არის მითითებული "ზარიას" სრული მისამართი, მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის ნომერი, ხოლო გარანტის "ალბატროს ჰოლდინგ ლიმიტედ"-ის შესახებ არ არის მითითებული მისამართი, მარეგისტრირებელი ორგანო, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, სათანადო ბანკის ცნობა ფირმის გადახდისუნარიანობის და სანდოობის შესახებ; წარმომადგენლის თანამდებობა, სახელი, მამისახელობა და გვარი.

წინასწარი შესატანი 5%-ის ანგარიშში ნატურით მიეცა, რაც თურქეთის რესპუბლიკის ანგარიშსწორებაში ჩათვლილია;

- 30.000,00 აშშ დოლარის სამრეწველო საქონელი ნატურით მიცემულია ფირმა "ზესტზე" 12 ავტომანქანის სარფიდან თბილისამდე დაცვა-გაცილებისათვის;
- 124.068,00 აშშ დოლარის საქონელი ნატურის სახით მიეცა რკინიგზის დეპარტამენტს საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზით საქონლის გადმოზიდვისათვის;
- 7.800,00 აშშ დოლარის საქონელი ნატურით მიეცა ფოთის პორტს;
- 89.126,00 აშშ დოლარი დაიხარჯა ბაზების მიერ საქონლის ტრანსპორტირებაზე საქართველოს ტერიტორიაზე და რეკლამაზე;
- 115. 873,00 აშშ დოლარი ორგანიზაციებს დატოვებული და გამოყენებული აქვთ რეალიზაციაზე გაწეული ხარჯებისათვის დათმობის კუთვნილი %-ის ფარგლებში.

მთლიანად ხარჯებმა ნატურით და თანხით შეადგინა 366.866,00 აშშ დოლარი.

- 110.537,00 აშშ დოლარი შეადგენს საცალო ქსელის და სხვა ორგანიზაციების მიერ რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილ დასაბრუნებელ თანხებს.

რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხა - 1.430.857,00 აშშ დოლარი ჩაირიცხა ბანკში შემდეგ ანგარიშებზე:

- 939.893,00 აშშ დოლარი ს/ს "აისბერგის" სავალუტო ანგარიშზე;
- 557.096,00 ლარი ანუ 428.535,00 აშშ დოლარი სამინისტროს მიერ 1995 წლის ოქტომბრიდან გახსნილ სალარე ანგარიშზე;
- 81.57,00 ლარი ანუ 62.429,00 აშშ დოლარი ბიუჯეტში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის სპეცანგარიშზე.

ბაზებში ნაშთად დარჩენილია 5.298.121,00 აშშ დოლარის საქონელი, მათ შორის:

- სავაჭრო სახლ "სამეურნეო საქონელში" 3.088.555,00 აშშ დოლარის საქონელი;
- ს/ს "ზევსში" 2.209.566,00 აშშ დოლარის საქონელი.

# საქართველოში დაუსჯელობის სინდრომი დამკვიდრდა

*ალბათ, საინტერესო იქნება ამდენი "მტვრევა-ნგრევისა" და "დაწვა-ჩამოწერის" შემდეგ ვინმეს თუ მოეთხოვება პასუხი. თუმცა, ალბათ, ეს საკითხიც მიფუჩეჩდება, რადგან დაუსჯელობის სინდრომი ჩვენთან ისევე კარგად მუშაობს, როგორც ცივილიზებულ დასავლეთში კანონის უზენაესობა.*

| მთლიანად რეალიზებული სამრეწველო საქონელი | ფ."ზესტზე" 5% ვალის ანგარიშში ნატურით გაცემ. საქონელი | ხარჯები მთლიანად გაცემული ნატურით და თანხით | რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი დასაბრუნებელი თანხები | რეალიზაციის შედეგად ბანკში შემოსული თანხა | რეალიზაციის შედეგად ბანკში შემოსული თანხების განკარგვა | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 5% ვალის დასაფარავად გადარიცხულია | საბანკო მომსახურეობებისთვის ჩამოწერილია | ძირითადი ვალის %-ის და %-ის %-ზე გადარიცხულია | ფინანსთა სამინ. სახაზინო დეპარტამენტს ჩაერიცხა | ნაშთი სალარე ანგარიშზე |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | | *) | **) | ***) | | | | | |
| 2.144.812,00 | 26.098,00 | 366.866,00 | 110.537,00 | 1.430.857,00 | 195.000,00 | 148.399,00 | 816.016,00 | 270.947,00 | 495 |

*) 1. ფირმა "ზესტზე" 12 ავტომანქანის სარფიდან თბილისამდე დაცვა-გაცილებისათვის ნატურით მიცემულია - 30.000,00 აშშ დოლარის საქონელი.
2. რკინიგზის დეპარტამენტს ნატურით მიეცა საქონლის გადმოზიდვისათვის საქართველოს ტერიტორიაზე - 124.068,00 აშშ დოლარის საქონელი.
3. ფოთის პორტს მომსახურებისათვის ს/ს "ნიკე-91"-დან ნატურით მიეცა - 7.800,00 აშშ დოლარის საქონელი.
4. ბაზების მიერ საქონლის ტრანსპორტირებაზე და რეკლამაზე დახარჯულია - 89.126,00 აშშ დოლარი.
5. ბაზებისა და ქსელის მიერ რეალიზაციაზე გაწეული ხარჯებისათვის სავაჭრო დათმობის ხარჯზე გამოყენებული აქვთ - 115.873,00 აშშ დოლარი.

**) 1. აჭარის ვაჭრობის სამინისტრო - 41.305,00 აშშ დოლარი.
2. თბილისის მერიის უნივერმაღი "დიდომი" - 3.334,00 აშშ დოლარი.
3. სახელმწიფო საწარმო "საშენმასალები", ქ. რუსთავი - 10.702,00 აშშ დოლარი.
4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 4.535,00 აშშ დოლარი.
5. პროკურატურა - 45.000,00 აშშ დოლარი.
6. სხვა ორგანიზაციები - 5.661,00 აშშ დოლარი.

***) 1. ს/ს "აისბერგის" სავალუტე ანგარიშზე - 939.893,00 აშშ დოლარი.
2. სამინისტროს სალარე ანგარიშზე - 428.535,00 აშშ დოლარი.
3. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის სპეცანგარიშზე - 62.429,00 აშშ დოლარი.

| მთლიანი მისაღები საქონლის სარეალიზაციო ღირებ. (მარგარინის გარეშე) | ვაგონის დაწვით და მტვრევით გამოწვეული ზარალი | საბითუმო ბაზებში მიღებული საქონლის ღირებულება | ფასების კორექტირებით გამოწვეული სხვაობა | სარეალიზაციო საქონლის მთლიანი ღირებულება | ფიქსირებულ ფასებში ქსელში და სხვადასხვა ორგანიზაციებზე გაცემული საქონელი | ბაზებში საქონლის ნაშთი | საცალო ქსელში ნაშთი | მთლიანად რეალიზებული სამრეწველო საქონელი | შ.პ.ს. "ზარიაზე" გადატვირთული, გაქურდული და სხვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | *) | | | | | | | | **) |
| 9.851.606,00 | 79.794,00 | 9.771.812,00 | 231.154,00 | 9.540.658,00 | 4.242.537,00 | 5.298.121,00 | 861.727,00 | 2.144.812,00 | 1.235.998,00 |

*) 1. ვაგონის დაწვით ზარალი - 17.760,00 აშშ დოლარი.
2. მტვრევის შედეგად - 62.034,00 აშშ დოლარი.

**) 1. ქ. როსტოვის შ.პ.ს. "ზარიაზე" გადატვირთულია 1.212.780 აშშ დოლარის საქონელი
2. თელავის ქალაქვაჭრობიდან გაქურდულია - 4.245,00 აშშ დოლარის საქონელი.
3. კომერციული ფირმა "ზაშური"-დან გაქურდულია - 8.909,00 აშშ დოლარის საქონელი.
4. სავაჭრო სახლი "სამეურნეო საქონელი"-ს მაღაზია №64-ში არ აღმოჩნდა გაცემული საქონელი - 7.444,00 აშშ დოლარის ოდენობით.
5. სახელმწიფო საწარმო "ნიკე-91"-ის მიერ ჩამოწერილია ფილების მტვრევა - 2.620,00 აშშ დოლარის ღირებულების.

# ინფორმაცია

## მსოფლიოს ირგვლივ

### ბანკმა მართვის მოდელი შეცვალა

"მეჟკომბანკმა" გამოაცხადა, რომ შეცვალა მართვის მოდელი, შემოიღო. პრეზიდენტის თანამდებობა და მას მიანდო ბანკის ოპერატიული მოღვაწეობის მართვის უფლება. ბანკის წარმომადგენლის განცხადებით, ეს გამოიწვია "ორგანიზაციის განვითარების ლოგიკამ, რომელმაც არსებობის 6 წლის მანძილზე ჩამოაყალიბა სტაბილურად მოქმედი სისტემა თავისი მდგრადი პროცედურებით, ტექნოლოგიებითა და კონტროლის სისტემით".

დღეისათვის ბანკის კლიენტები არიან 400-ზე მეტი საგარეო ვაჭრობის გაერთიანებები, მსხვილი სამრეწველო საწარმოები, 100-ზე მეტი ერთობლივი საწარმოები და საზღვარგარეთული ფირმები. მიმდინარე წელს ბანკის კლიენტები გახდნენ კომპანიები "შელლი", "სალამანდრა", "ბოშ-სიმენსი" და სხვები.

### ლონდონში თავისი წარმომადგენლობა გახსნა...

"ინკომბანკმა", რომლის ადგილსამყოფელი ინგლისის დედაქალაქის ცენტრში მდებარეობს ინგლისის ბანკისა და მსოფლიოში პოპულარული "ბარკლიზ ბენკის" გვერდით. ეს იმას ნიშნავს, რომ "ინკომბანკის" ხელმძღვანელობას ლონდონის ფინანსურ ბაზარზე მყარად დამკვიდრება აქვს განზრახული. "ინკომბანკის" პრეზიდენტმა ვ. ვინოგრადოვმა დაადასტურა, რომ ეს ნაბიჯი ბრიტანეთის დედაქალაქში ფინანსური კომპანიების შექმნის და მსოფლიო არენაზე გასვლის წინაპირობაა.

პრეზიდენტის განცხადებით, "ინკომბანკს" სურს პირველ რიგში გააფართოვოს დიდ ბრიტანეთთან სავაჭრო ოპერაციების დაფინანსება და ამ მიზნით ლონდონში სულ მალე გაიხსნება ბანკის ფილიალი. თუ ინგლისის ბანკი მეტ ნდობას გამოიჩენს, მაშინ შეიძლება შეიქმნას გაერთიანებაც, რაც ფინანსურ ბაზარზე უფრო თავისუფალი მოქმედების პირობებს შექმნის.

### გაწევრიანდა საერთაშორისო კონფერენციაში

სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მსოფლიო კონფერენციის გენერალური ასამბლეა, რომელიც რუსეთის აგროკომპლექსის ინვესტირების ახალი საშუალებების გამონახვას, ამ მიზნით რუსეთისა და საზღვარგარეთის ბანკების თანამშრომლობის გაღრმავების პრობლემებს მიეძღვნა.

ასამბლეის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია "აგროპრომბანკის" სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება. კონფერენცია მსოფლიოს 36 ქვეყნის 200-ზე მეტ ბანკს აერთიანებს. მათ შორის არიან ფრანგული "კრედიტ აგრიკოლი", გერმანული ბანკი "დგ", ავსტრიული "რაიფფაიზენბანკი", კანადის სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნების ბანკებს შორის "აგროპრომბანკი" პირველია, რომელიც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდა.

ამ ღონისძიების შედეგად 100 მილიონი დოლარის კრედიტის მიღება უკვე ამ თვისთვის არის მოსალოდნელი.

# ეკონომიკური ლექსიკონი

მონეტარიზმი - თეორია, რომელიც სასაქონლო ფასების დონეზე ფულის რაოდენობის ზეგავლენას ასახავს და ფულის მასის მიმოქცევაში ზრდასა და სასაქონლო ფასების ზრდას შორის პირდაპირ კავშირს ასახავს. საბჭოთა პერიოდში მას ბურჟუაზიულ თეორიად თვლიდნენ.

მონოპსონია - სახელმწიფოს, ფირმის, საწარმოს, კერძო პირის განსაკუთრებული უფლება საქონლის, ნედლეულის შესყიდვაზე.

მორატორიუმი - გადასახადების გადახდის სრული შეწყვეტა ან საგადამხდელო ვალდებულებების შესრულების გადავადება.

მონიტორინგი - გარე სამყაროზე დაკვირვება, აქ არსებული ვითარების შეფასება და შემდგომი შედეგების პროგნოზირება.

მონოპოლია - კერძო მფლობელობაში მყოფი მსხვილი საწარმოო გაერთიანება, რომელიც დარგებზე, ბაზრებსა და ეკონომიკაზე კონტროლს ახორციელებს. მისი მიზანია წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონის საფუძველზე მონოპოლიური ფასების დადგენა და მონოპოლიური მოგების ამოღება.

მოტივაცია - სუბიექტის ქცევაზე გამიზნული ზემოქმედების მომხდენი ფაქტორი.

მოტივი - საჭიროების, მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის გზების მოსაძებნად ადამიანის მაიძულებელი საბაბი.

მცირე საწარმო - საწარმო, რომლის მუშაკთა რაოდენობა შეზღუდულია. მცირე საწარმო შეიძლება შექმნან მოქალაქეებმა, ოჯახის წევრებმა, რომლებიც ერთობლივ შრომას ეწევიან, აგრეთვე სახელმწიფო, კოლექტიურმა, ერთობლივმა საწარმოებმა, სააქციონერო საზოგადოებებმა, ამხანაგობებმა, ასოციაციებმა და ა.შ.

მცირე საწარმოების შექმნა შესაძლებელია მეურნეობის ყველა დარგში. მის საქმიანობას კანონი განსაზღვრავს.

ნედლეული - შრომის საგნები, რომლებიც შემდგომ გადამუშავებას ექვემდებარებიან.

ოპციონი - გარიგებით, განსაკუთრებით საბირჟო გარიგებით გათვალისწინებული პირობა, რომელიც გარიგებაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს ანიჭებს არჩევის უფლებას ურთიერთგამომრიცხავ პირობებს შორის აირჩიოს ,მისთვის მისაღები, ყველაზე ხელსაყრელი წინადადება ან სრულიად შეცვალოს გარიგების თავდაპირველი პირობები.

მეორე მნიშვნელობით, რაც ზოგადად პირველი ცნების გაგრძელებაა, ოპციონი არის საზღვაო გადაზიდვების დროს ტვირთის სახეობის დანიშნულების პორტის ერთჯერადი შეცვლის უფლება და მესამე, ოპციონი ჰქვია პრემიის სახით გაცემულ საბირჟო პრივილეგიას, რომელიც გაიცემა საქონლის ადრე შეთანხმებული ფასებით მიღებაზე.

ოპერაცია - ერთ სამუშაო ადგილზე ერთი მუშის ან მუშათა ჯგუფის მიერ განხორციელებული საწარმოო პროცესის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ერთ საგანზე მუშაობის ერთეულის შესრულებისას ყველა მათ მოქმედებას.

პარიტეტი - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თანაფარდობას. ტერმინი იხმარება როგორც ეკონომიკაში (ვთქვათ, სავალუტო პარიტეტი), ისე პოლიტიკაში (სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა პარიტეტულ, თანაბარ საწყისებზე).

# "სოხუმში დაბრუნების იმედით"

რეცენზიის მაგიერ

ცოდვა გამოტეხილი სჯობს და გულახდილად ვიტყვი: ვერცერთ შემთხვევაში ვერ ვიქნებოდი გურამ ოდიშარიას მოთხრობებისა და ლექსების გულგრილი მკითხველი, მითუმეტეს მათი ცივი გონებით განმსჯელი.

ავტორს ახლოს ვიცნობ, თანაც ჩვენი კეთილი ურთიერთობა ისეთი პიროვნების მეშვეობით დაიწყო, რომელიც თავად იყო მშრომელ, პროფესიონალ ადამიანებთან ჭეშმარიტად მეგობრული დამოკიდებულების, სიკეთის განსახიერება.

მიუხედავად ამისა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: პირადი ურთიერთობა არ იქნებოდა მყარი საფუძველი იმისათვის, რომ ლიტერატურის, ხელოვნებისაგან ძალიან შორს მდგომი გაზეთ "მესაკუთრის" ფურცლებზე მწერლის მხატვრულ ნაწარმოებზე მესაუბრა. არც პროფესიული სინდისი მომცემდა ამის უფლებას, არც გაზეთისადმი პატივისცემა, არც მისი თემატიკის, შინაარსისადმი სამსახურებრივი მიდგომა.

თუ მაინც ვწერ, ამას მხოლოდ ერთი გამართლება, ერთი ანგარიშგასაწევი საყრდენი აქვს: აფხაზეთის ინვალიდთა და ლტოლვილთა ასოციაცია "დაბრუნების" დახმარებით გამომცემლობა "მერნის" მიერ გამოცემული გურამ ოდიშარიას წიგნი "სოხუმში დაბრუნება" მხოლოდ მხატვრული ნაწარმოები არ არის ამ ცნების ჩვეულებრივი გაგებით. მაპატიოს ავტორმა, მისი წყენა გულში არ გამივლია, მაგრამ ეს წიგნი ჩემთვის კარგი ოსტატის მიერ კოხტად აკინძული დოკუმენტების კრებული უფროა, ვიდრე მწერლის ლიტერატურული შესაძლებლობების სრული გამოვლინება.

რაც მთავარია, წიგნი ეხება ყოველი ქართველისათვის ყველაზე მტკივნეულ თემას - აფხაზეთს, აფხაზი სეპარატისტების ვერაგულ საქციელს, მშობლიური ადგილებიდან, წვითა და დაგვით მოწესრიგებული კარ-მიდამოდან, მამა-პაპათა სამკვიდრებლიდან, მათი ძვალთშესალაგი მიდამოებიდან დევნილი ადამიანების ტრაგედიას, მაღალმთიანი საკენის გავლით საცალფეხო ბილიკებით ლტოლვას, რასაც სრულიად თავისუფლად, დამშვიდებული სინდისით, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ "გოლგოთის გზა". იგი ერთორ კაცს არ გამოუვლია. ყველასა და ყველაფრისადმი გულგრილი თოვლიანი უღელტეხილი მაშინ ათასობით ადამიანმა გადმოლახა. მათ შორის იყო გურამ ოდიშარია ოჯახთან ერთად. საბედნიეროდ, გადმოსულთა შორის იყო. ახლა, აქ, ჩვენს გვერდით არის. ბევრი აქეთკენ ლტოლვილი კი, სამწუხაროდ, უღელტეხილის მისადგომებთან, ზედ უღელტეხილზე დარჩა სამუდამოდ. ზოგს ფრჩხილებით ამოჩიჩქნილი მიწა მაინც მიეყარა, ბევრს ესეც არ ეღირსა და ტალახში, ლოდზე დარჩა ნადირ-ფრინველთა სათარეშოდ.



**ნაწყვეტი წიგნიდან:**

"...60-65 წლის ცოლ-ქმარს ვეწევით. უცებ ჩასუქებული ქალი ჩანთებს დაბლა ყრის და შუა გზაზე, ზედ ჩემს ფეხებთან ეცემა, ხელებს ჰაერში ასავსავებს და... კვდება. თვალებს არ ვუჯერებ. ნუთუ ეს ცხადია?

- დეიდა! - ვანჯღრევ, - დეიდა!

სუნთქვაშეკრული ქმარი ერთხანს დგას, ჩემოდანს ხელს უშვებს, თავს აკანტურებს, ქუდი უვარდება. ჯერ მუხლებზე ეცემა, შემდეგ მოწყვეტით - ცოლის გვერდით.

- რა ცხოვრება გვქონდა და სად ვიხოცებით... - აი, მისი უკანასკნელი, ძლივსგასაგონად წარმოთქმული სიტყვები.

ხან ერთს მივვარდებით, ხან მეორეს, კაცის სხეულისა და სულის გაყრას ჯერ არ შევსწრებივარ. არ მეგონა, თუ ასე ადვილად კვდებოდა ადამიანი...

პატარა ჯარისკაცი ისტერიულად ტირის, ნაცემი ბიჭივით.

- ამას რას ვხედავ, ამას რას ვხედავ... - იმეორებს უსასრულოდ, - ამას რას ვხედავ...

- წადი, იარე! - უწყრება ჯემალი ჯარისკაცს. - იარე, თორემ გაიყინები!"

დარწმუნებული ვარ, საკუთარი ბინიდან გამოქცევისას არ ჰქონია მწერალს მომენტის ტრაგიკულობის ისეთი შეგრძნება, როგორიც საკუთარი უმწეობის აღქმისას მაშინ, როცა მის თვალწინ მოყვასი სიცოცხლეს ეთხოვებოდა და შველა არ შეეძლო, ღიად დარჩენილ თვალებს ვერ უხუჭავდა და ქრისტიანული წესისამებრ ერთ პეშვ მიწასაც ვერ აყრიდა იმას, ვის გვერდითაც იზრდებოდა, ცხოვრობდა, ვისი სიხარულითაც ხარობდა და ვისი წარმატებებით, კარგი საქციელით ისე ამაყობდა, როგორც საკუთარი მიღწევით, ადამიანური მოქმედებით.

ჩემთვის წარმოუდგენელია მწერლისთვის ამაზე უფრო დიდი სასჯელი. ეტყობა სანთელ-საკმეველი ყოველთვის ვერ პოულობს თავის გზას, თორემ, ხატზე დავიფიცავ, გურამ ოდიშარიას და მისთანა კაცებს არ ჰქონიათ რაიმე ისეთი ცოდვა, რომ მამაზეციერს მათთვის სამაგიერო ასეთნაირად მიეზღო.

ალბათ, მათი ბედისწერა იყო ასეთი და როგორც კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა, თვითონ მეფენიც ვერ გადუვლენ განგების ნებას, არათუ ჩვეულებრივი მოკვდავი.

სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, თუ მწერალიც გაბოროტდებოდა, ბოლმას ვერ მოინელებდა და თუ საქმით ვერა, თავისი ყველაზე "ძლიერი იარაღით" - სიტყვით მაინც გადაანთხევდა შხამს იმათ, ვინც მამულიდან გააქცია, გვარ-სახელი შეულახა და ლტოლვილის ანუ "დროებით გადაადგილებულის" მოწმობის ამარა დასტოვა.

კიდევ კარგი, მწერალი მწერლად, კაცი კაცად დარჩა და ძველ მეგობარზე, ახლა სეპარატისტთა ერთ-ერთ თავკაცზეც კი გარეგნულად მაინც მშვიდი, თავაზიანი ტონით ილაპარაკა.

მადლობა ღმერთს. ესეც, ალბათ, ღვთის ნება იყო, რომ ძნელად გადასალახ უღელტეხილზე (ცხოვრების უღეტეხილზე) "მსუბუქი ფეხსაცმელების ამარა" დარჩენილს ადამიანობა შეუნარჩუნა. მეომარი დამარცხდა, მაგრამ არ გატყდა, ტალახში არ ჩავარდა მთავარი - სული. იგი გადარჩა, რათა მწერალი აეძულებინა უსარკმლო ცივ ოთახში დაეწერა წიგნი, რომელიც მალე შეიძლება სეპარატისტთა საბრალდებო დასკვნის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად გამოდგეს. რა საოცარიც უნდა იყოს, როცა ახლა წიგნი ვახსენე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ მე თავად ავცდი გზას და ნაწარმოების ნაცვლად ავტორზე გადავიტანე მთელი ყურადღება. თუმცა, ერთი გამამართლებელი გარემოება მაინც არის. თავიდანვე აღვნიშნე, რომ რეცენზიის დაწერას არ ვაპირებდი. ამიტომაც დავსვი სათაურის წინ "რეცენზიის მაგიერ".

ვფიქრობ, დიდი არაფერი დამიშავებია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ წიგნისა და მისი ავტორის ბედი ისე გადაეხლართა ერთმანეთს, ერთბაშად ძნელიც კი არის იმის ზუსტად თქმა, თუ ვინ არის დღეს ნამდვილი ლტოლვილ - ავტორი თუ წიგნი, რომელმაც ავტორისა არ იყოს, მხოლოდ კეთილი ადამიანების უანგარო თანადგომით დაივანეს წიგნის მაღაზიების დახლებზე და ავტორივით უპრეტენზიოდ, უხმაუროდ იპოვეს მკითხველიც და შემფასებელიც.

თუ უხერხული არ იქნება ამის თქმა, "სოხუმში დაბრუნება" ერთ ღამეში წავიკითხე. ავტორის ხათრით არ გადამიფურცლავს, მართლა ყურადღებით გავეცანი. სიმართლე რომ ვთქვა, თავიდან ერთგვარად გამაღიზიანა მოჭარბებულმა სენტიმენტალიზმმა, წიგნის წვრილმანი, ყოფითი დეტალებით გადატვირთვამ. მერე, როცა საბოლოოდ დავკეცე და მთლიანობაში გავიაზრე, გულიც კი დამწყდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ავტორმა თითქოს კიდევ რაღაც გამოტოვა, ყველაფერი ბოლომდე არ თქვა. არ ვიცი ჩვენ, მკითხველები დაგვინდო თუ მორიგი ნაწარმოებისთვისაც შემოინახა ზოგი რამ. თუ ასეა, ურიგოდ არ მოქცეულა. ასეთი ნაწარმოებები ისეა საჭირო, როგორც საგამომძიებლო ორგანოების მიერ წვეთ-წვეთად შეგროვებული მასალების კრებული, რათა მერე ისინი დამნაშავეთა საბრალდებო დასკვნად იქცნენ და წესისამებრ კანონით მიეზღოს ყველას, ვინც თავის უგუნურობით ათასობით ადამიანი გააუბედურა და დევნილის სახელით მონათლა.

თუ მეც სენტიმენტალიზმმა არ მძლია, ვფიქრობ, გურამ ოდიშარიამ ამ წიგნის დაწერით დიდი საქმე გააკეთა და სწორედ იმ ყოფითი დეტალების უხვად გამოყენებით ცხადლივ გვიჩვენა ძირძველი ქართული მიწიდან გამოძევებული ადამიანების მწარე ხვედრი, რასაც ხშირად საჭირო სიღრმით ვერც ვითვითცნობიერებთ და ამ ყოველმხრივ გაძნელებული ცხოვრების პირობებში ზოგჯერ ჯეროვან ყურადღებასაც ვერ ვაქცევთ.

ვატყობ, ძალიან გამიგრძელდა. სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ ვამთავრებ, ვამთავრებ ისე, როგორც ნაჩუქარ წიგნზე ავტორის მინაწერი მთავრდება: "სოხუმში შეხვედრის იმედით".

**რობერტ ძერია**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია სულ ახლახან შეიქმნა. მასში უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა სპეციალობის ასობით ადამიანი სწავლობს. დარწმუნებულნი ვართ, რომ თითოეული მათგანი თავისი საქმის კარგი ოსტატია, მაგრამ ახლა ისინი სრულიად ახალს - დიპლომატიის ხელოვნებას ეუფლებიან.

ეს ორმხრივ სასარგებლოა. პირველი - დამოუკიდებელი საქართველო საერთაშორისო არენაზე სულ უფრო ფართოდ გადის და საკუთარი კვალიფიციური დიპლომატიური კადრების სიმცირეს განიცდის. აკადემიის კურსდამთავრებულები ამ ხარვეზს შეავსებენ. მეორე - დიპლომატობა პიროვნებას დიდ უპირატესობებს აძლევს ჩვეულებრივ მოკვდავთან შედარებით. ეს დიპლომატიური იმუნიტეტია, ხელშეუხებლობის გარანტია.

■

ადრეც, რევოლუციამდე და იმის წინაც ყველა დიდვაჭარი ცდილობდა მიეღო ქვეყნის, ქალაქის საპატიო მოქალაქის სახელი. მათ მკერდზე ჩამოსაკიდებელი ჩვეულებრივ თუ ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული მედლები არ იზიდავდა. არც ხელისუფალთა ხელმოწერილი და ბეჭედდასმული სიგელები.

უმედლოდ და უსიგელოდაც არ აკლდათ ცხოვრების სახსარი. მაინც არაფერს იშურებდნენ საპატიო წოდების მისაღებად. იყენებდნენ ნაცნობებს, ნათესავებს, გავლენიან პირებთან ურთიერთობას, არ ერიდებოდნენ დიდმოხელეთა მოქრთამვას.

რატომ? უბრალო მიზეზის გამო. მიზნის მისაღწევად დახარჯულ ფულს ფული უნდა მოეგო. რა გზით? საპატიო მოქალაქე ყოველგვარი გადასახადისაგან თავისუფალი იყო. ამისათვის თავისა და სხვების შეწუხებაც ღირდა.

■

საქართველოს დამოუკიდებლობამ, სხვადასხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამ, რაც მთავარია, საზღვრების გახსნამ, მიმოსვლის თავისუფლებამ ხელფეხი გაუხსნა ქართველ ბიზნესმენებს, წვრილ ვაჭრებს. ერთნი ფართო კონტაქტებს ამყარებენ უცხოეთის ფირმებთან, მსხვილ გარიგებებს დებენ და მასშტაბურ ოპერაციებს ახორციელებენ; მეორენი - საზღვარზე იოლად გადასვლის შესაძლებლობებით სარგებლობენ, საზღვარგარეთიდან პირველადი მოხმარების საგნებით, ჩასაცმელ-დასახურით დატვირთულები ბრუნდებიან.

საბაჟო გადასახადსა და სხვა მოსაკრებლებს ყველა იხდის საგანგებო იმუნიტეტის მქონეთა გარდა.

ვინ არიან ის ბედნიერები, რომლებიც არხეინად მიდიმოდიან, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა - ქალამნად?

სწორედ ამაზე გვინდა გესაუბროთ.

# ხელშეუხებლობა გნებავთ? კი ბატონო, ინებეთ!

## მეტად მაცდუნებელი წინადადება



ერთხელ, როცა ჟურნალის ან გაზეთის მორიგი გვერდი (სწორედ ის, როგორც წესი, რეკლამას რომ უჭირავს) გადაშალეთ, საინტერესო განცხადებას წააწყდით.

იურისტი: ძალიან ძვირი, უნიკალური წინადადება წარმოების დირექტორებისა და ბანკირებისათვის. დიპლომატიური სტატუსის გაფორმება. იძლევა ხელშეუხებლობის სრულ გარანტიას. განცხადება გასაუბრებისათვის ფაქსით...

"საინტერესოა, - გაიფიქრეთ თქვენ- ნუთუ შესაძლებელია ასე უბრალოდ, ფულის გადახდის შემდეგ, ყოველი მსურველი გახდეს დიპლომატი?" ძნელია თავი შეიკავო ასეთი მაცდუნებელი წინადადებისაგან.

შეადგინეთ განაცხადი არარსებული კომპანიის პრეზიდენტის სახელზე, რომელიც გავაგზავნეთ განცხადებაში მითითებული ფაქსის ნომერზე.

მიმოწერა წარმოებს ინგლისურ ენაზე. ერთი დღის შემდეგ მოვიდა პასუხი. ფაქსი ხელმოწერილი არ იყო.

"კომპანია ძირითადად აწარმოებს უცხოელ მოქალაქეთა ნატურალიზაციას (ანუ ეხმარება იმიგრირებას და მოქალაქეობის მიღებას), - წაიკითხეთ თქვენ, - და წარმოადგენს ოფიციალურად უფლებამოსილ აგენტს რამდენიმე ქვეყნისა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დიპლომატიური ურთიერთობების გაფართოებით ქვეყნებთან".

რაც შეეხება განცხადების ძირითად არსს, ის შემდეგშია: ფირმა ვალდებულებას იღებს თავის კლიენტებს მიანიჭოს "უმცროსი" დიპლომატის, საპატიო კონსულის ან ვიცე-კონსულის სტატუსი ანუ კომპანიას შეუძლია ხელი შეუწყოს თქვენს მიერ არჩეული ქვეყნის მთავრობისაგან თანხმობას, რომ მიიღოთ ერთ-ერთი ზემოთხსენებული თანამდებობა. თქვენგან კი ელიან "კაპიტალისა და ინვესტიციების მიზიდვას" იმ ქვეყნის ეკონომიკაში, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ. დაპირებული დიპლომატიური ვაკანსიებია აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

მაგრამ, თუ თქვენს ბიოგრაფიაში არის ნასამართლეობა, მაშინ თანამდებობას ვეღარ მიიღებთ. თუ ფაქსს დავუჯერებთ, ყოველგვარი მომსახურება ოფიციალურად შესრულდება.

ქაღალდზე ყველაფერი უბრალოდ გამოიყურება, მაგრამ შემდეგ მოვლენები შეიძლება განვითარდეს ორი გზით. თქვენ ან იხდით ფულს და იღებთ სასურველ დოკუმენტს ან თქვენ ელემენტარულად "გადაგაგდებენ".

## დიდებულია იყო დიპლომატი...

მართლაც, დიპლომატიური სტატუსის მფლობელისათვის მრავალი პრივილეგია ჩნდება. საპატიო წოდების, აგრეთვე სხვადასხვა სასიამოვნო უფლებებისა და მოვალეობების გარდა ეს დიპლომატიური იმუნიტეტიცაა.

*ძირითადი წესები დიპლომატიური წარმომადგენლების იმუნიტეტზე ფორმულირებულია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციაში.*

*კონვენციის თანახმად, დიპლომატიური იმუნიტეტი მყარდება დიპლომატიური წარმომადგენლის განსაზღვრულ ქვეყანაში დანიშვნის მომენტიდან. მისი დაცვა დამოკიდებულია მხოლოდ აკრედიტებულ ქვეყანაზე.*

სრული დიპლომატიური იმუნიტეტი მიენიჭება მხოლოდ ორმხრივი კონვენციის დადების შემთხვევაში. ასეთი კონვენციები დაიდება ნებისმიერ ქვეყანასთან, რომელთანაც დამყარებულია დიპლომატიური ურთიერთობა.

*სიტყვა "იმუნიტეტი" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან "immunitas"-ს - მორჩილებისაგან გათავისუფლება. იგი ცნობილია ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროიდან. ამ სიტყვით აღინიშნებოდა გათავისუფლება სასწრაფო გამოსაღებისაგან, გარკვეული სახის ნატურალური სახელმწიფო და მუნიციპალური მორჩილებისაგან.*

შუასაუკუნეების ევროპაში ტერმინი *"immunitas"*-ი აღნიშნავდა სხვადასხვა სახის საგადასახადო პრივილეგიებს, რომლებითაც სარგებლობდა სასულიერო წოდება, ქალაქები და მთელი რიგი პროვინციებიც კი.

გაცილებით გვიან ტერმინი გახდა სამედიცინო. ოღონდ, თუ "იმუნიტეტის" წინ აღმოჩნდება სიტყვა "დიპლომატიური" ან "კონსულის", მაშინ მის კონტექსტში უნდა გავიგოთ უცხოელი წარმომადგენლობების, მათი უფროსების, თანამშრომლების, მოსამსახურეებისათვის მინიჭებული საგანგებო უფლება და პრივილეგია.

როგორც წესი, დიპლომატს დიპლომატიური იმუნიტეტი ენიჭება მხოლოდ დანიშნულების სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მესამე ქვეყანაში ის მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა დიპლომატი იქ აღმოჩნდება ტრანზიტით აკრედიტებული სახელმწიფოდან დანიშნულების სახელმწიფოში მოგზაურობისას (და პირიქით).

რას აძლევს იმუნიტეტი მის მფლობელს?

## პირველი. პირადი ხელშეუხებლობა

თქვენს დაკავებას ან დაპატიმრებას უკვე ვერ შესძლებს ვერავინ. დანიშნულების სახელმწიფო ვალდებულია მოგექცეთ "აუცილებელი პატივისცემით და მიიღოს მაქსიმალური ზომები თქვენი ჯანმრთელობის, თავისუფლების და ღირსების დასაცავად".

აგრეთვე გაუფრთხილდეს თქვენს ძვირადღირებულ პიროვნებას ნებისმიერი ხელყოფისაგან მესამე პირის მიერ. მართალია, ხანდახან დიპლომატიური იმუნიტეტის არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თქვენ თავს არ დაგესხმიან დანიშნულების სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდანაც კი.

ერთ-ერთი ყოფილი საბჭოთა ელჩი ცდილობდა დახმარებოდა პოლიციის მიერ რაღაცაში ბრალდებულ საბჭოთა იურისტს. ელჩი ითხოვდა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას შეეშვა იგი თვითმფრინავში და მიეცა პასპორტი. პასუხად ადგილობრივი პოლიციის უფროსი კისერში სწვდა ელჩს, რათა წინააღმდეგობა გაეწია მისი დიპლომატიური მოღვაწეობისთვის. რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობამ გააკეთა საპროტესტო ნოტა, მაგრამ ამით ელჩის ხვედრი არ შემსუბუქებულა.

## მეორე. ბინის ხელშეუხებლობა

ახლა თქვენს ბინაში ხელისუფლების წარმომადგენლებს შემოსვლა შეუძლიათ მხოლოდ დიპლომატის ანუ თქვენი თანხმობით. თქვენი საცხოვრებელი და ქონება (ის მიწის ნაკვეთიც კი, რომელზედაც დგას თქვენი სახლი) საიმედოდ დაცულია ჩხრეკების, დაპატიმრებების, რეკვიზიციებისა და ნებისმიერი სხვა სახის აღმასრულებელი მოქმედებებისაგან. სხვათაშორის, ეს წესები ვრცელდება თქვენს ავტომანქანაზეც. რა თქმა უნდა, თუ თქვენ, როგორც დიპლომატი დაარღვევთ დიპლომატიური ქცევის ნორმებს, მაშინ გაგაჩერებენ მხოლოდ იმისათვის, რომ შენიშვნა მოგცენ. სწორედ ამიტომ გარკვეული ნომრის მანქანებს პრაქტიკულად არასოდეს აჩერებენ.

## მესამე. იურისდიქციის იმუნიტეტი

"სისხლის სამართლის" მიხედვით ეს ნიშნავს, რომ სასამართლოები და საგამომძიებლო ორგანოები თქვენს საქმეს (ღმერთმა ნუ ქნას, თუ ის აღძრულია) ჩათვლიან, როგორც არაგანსჯადს, იმუნიტეტის ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ.

"სამოქალაქო კოდექსის" მიხედვით იურისდიქცია თქვენზე იმ შემთხვევაში ვრცელდება, როცა საქმე ეხება უძრავ ქონებას, რომელიც შედის თქვენს პირად საკუთრებაში დანიშნულების სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასევე როცა სასარჩელო მოთხოვნები განეკუთვნება პროფესიულ ან კომერციულ მოღვაწეობას, რომელიც არ არის დაკავშირებული დიპლომატიურ სტატუსთან. თუ თქვენ მოისურვებთ თავად აღძრათ საქმე, ეს ნიშნავს იმას, რომ უარს ამბობთ ამ საქმის განუსჯელობაზე. მაშინ შესაძლებელია საპასუხო სარჩელების წარდგენა დიპლომატისადმი.

დიპლომატებს არ ემუქრებათ ადმინისტრაციული "სასჯელებიც". მაგალითად, თქვენ არასოდეს დაგაჯარიმებენ, ავტობუსშიც კი.

## მეოთხე. ფისკალური იმუნიტეტი

ეს კი სულის შემძვრელი რამეა.

თქვენ როგორც დიპლომატი, არაპრაქტიკულად თავისუფლდებით ყველა (!) გადასახადისაგან, ბაჟისაგან.

ცხადია, დიპლომატიური პერსონალი გათავისუფლებულია ყველა სახელმწიფო და სამხედრო ვალდებულებისაგან. გარდა იმისა, რომ თქვენ არ გაგიწვევენ არმიაში, ომის შემთხვევაშიც კი ვერ ჩაგიყენებენ სახლში ჯარისკაცებს.

## მეხუთე. საბაჟო პრივილეგიები

ყველა თქვენი პირადი საკუთრება, რომელიც მოგაქვთ საზღვარგარეთიდან, თავისუფლდება საბაჟო გადასახადის, მოსაკრებლისაგან და ა.შ.

საბაჟოს წარმომადგენლებისაგან დიპლომატის ტვირთის შემოწმება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ზუსტად იციან, რომ თქვენ მიგაქვთ გატანისა და შემოტანისათვის აკრძალული საგნები. თუ საბაჟოს მუშაკები შეცდნენ, ეს მათ ძვირად დაუჯდებათ - დაწყებული სამსახურიდან გათავისუფლებით და საერთაშორისო სკანდალით დამთავრებული. მაგრამ თუ ხელისუფლებმა გადაწყვიტეს დიპლომატის შემოწმება ან გაჩხრეკვა, ასეთ დროს ისინი იშვიათად სცდებიან.

ბელგიასა და ნიდერლანდებში გვატემალის ყოფილი ელჩის მორისიო როსალის გზა ხშირად გადიოდა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს როსალი ნიუ-იორკში დააკავეს და პირადი ხელშეუხებლობის მიუხედავად, გაჩხრიკეს. აღმოჩნდა, რომ ხელისუფლები ამაოდ არ გარჯილან. ბატონ როსალს აღმოუჩინეს 4 მილიონი დოლარის ღირებულების ჰეროინი. მეორე დღესვე გვატემალის მთავრობამ როსალი დაკავებული თანამდებობიდან გაიწვია.

...მაგრამ ყველა ხომ დიპლომატი ვერ გახდება?

(დასასრული იქნება)



# პ ა ნ ო რ ა მ ა

## დიდი ბიოგრაფიები

ცნობილი დრამატურგისა და მწერლის ედვარდ რაძინსკის წიგნს დეკემბერში გამოსცემს გამომცემლობა "ვაგრიუს"-ი, სერიით "დიდი ბიოგრაფიები". წიგნს უკიდურესად მარტივი და გასაგები სათაური აქვს - "სტალინი".

ეს, რა თქმა უნდა, პირველი ბიოგრაფია არ გახლავთ საუკუნის უდიდესი ტირანისა, მაგრამ, შესაძლოა ეს იყოს პირველი წიგნი, რომელიც ცხადად ეყრდნობა არა ისტორიას (რომელიც დამახინ-



ჯებულია, ჯერჯერობით მაინც), არა იდეოლოგიას ანდა პოლიტიკას, არამედ თავისებურ მხატვრულ ფსიქოანალიზს და, ვფიქრობთ, სწორედ ეს მოუტანს წიგნს მკითხველთა შორის პოპულარობას. იოსებ სტალინი აქ წარმოდგენილია არა როგორც გარკვეული ფაქტების (ანდა დანაშაულობათა) ნაკრები, არამედ როგორც ამა თუ იმ სულიერ მოძრაობათა, რეფლექსთა, წინათგრძნობათა, ფსიქიურ დარღვევათა, წყენათა ნაერთი. ესე იგი, სტალინი აქ წარმოდგენილია ყველა იმ თვისებებითა და ნიშნებით, რომლებიც თითოეულ ჩვენთაგანს ახასიათებს.

## ანტონელა მადონას როლში

ჯერ კიდევ გუშინ, ალბათ, იშვიათად ვინმე იცნობდა ვენესუელელ ანტონელას. მაგრამ მსახიობმა ქალმა ანდრეა დე ბოკამ რეკორდულ ვადებში მოიპოვა პოპულარობა არგენტინული კინოსერიალის "ანტონელას" წყალობით.

საერთოდ კი მას პირველი მეუღლე - ცნობილი არგენტინელი კინორეჟისორი რაულ დე ლა ტორე დაეხმარა. მართალია, იგი ორჯერ უფროსი იყო ცოლზე, მაგრამ განა ასე არ დაიწყეს თავისი კარიერა ბრიჯიტ ბარდომ ან ჯერალდინა ჩაპლინმა?

ტელესერიალები ანდრეა დელ ბოკას მონაწილეობით უკვე იხილა იტალიამ, ესპანეთმა, ისრაელმა... მაგრამ მსახიობმა ეს არ იკმარა. ახლა თვით მადონას სახელი ამოილო მიზანში და გადაწყვიტა, რომ თვითონ შეასრულოს არგენტინის პრეზიდენტის ეკიტა პერონის ცოლის როლი... თავიდან იმით დაიწყო, რომ საჯაროდ განაცხადა, მე ჰოლივუდის ცელულოიდისაგან როდი ვარ გამოჭრილიო. სიმღერითაც მადონაზე ნაკლებად არ მღერის. ევიტას პატრიოტული ვერსია თვით არგენტინის პრეზიდენტს კარლოს მენემს მოეწონა.

ახალი ფილმის სცენარის დაწერაზე უკვე დაითანხმა ენრიკე ტორესი - ტელესერიალ "ანტონელას" სცენარის ავტორი. პროდიუსერადაც "თავისიანი" აირჩია - კარლოსის დიდი მეგობარი ვიქტორ ბო. რეჟისორი კი, ალბათ, ან რობერტ რედფორდი იქნება ანდა ჯუზეპე ტორნატორე.

სხვათაშორის, სერიალის გადაღებას 5 მილიონ დოლარზე მეტი დასჭირდება! ანდრეამ აქაც მიაგნო გამოსავალს. ფილმს დააფინანსებს მისი ამერიკელი საქმრო ჯეფრი საქსი...

## რა ქნას ბანდერასმა?

ვერც თუ ისე ბედნიერად ცხოვრობს დღეს ანტონიო ბანდერასი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ნამდვილ ვარსკვლავად გამოკრთა ამერიკულ ეკრანზე. მისი ყოფილი მეუღლე ანა ლუიზა აპირებს სასამართლოს მიმართოს და ფილმ "დესპერადოს" გმირს მთელი მისი 16-მილიონიანი ქონების ნახევარი მაინც "წაგლიჯოს". ანას სურს ხელში ჩაიგდოს სახლი მადრიდში, რომელიც 2,5 მილიონი დოლარი ღირს, ბინა ნიუ-იორკში და ამასთან ერთად ყოველწლიური "თავის სარჩენი" 300 ათასი დოლარიც მიიღოს.

მეორეს მხრივ, ანტონიოს ავიწროებს ახლანდელი მეუღლე, მსახიობი მელანი გრიფიტი, რომლის გამოც მიატოვა პირველი ოჯახი. თუ ბანდერასს უფრო ევროპული კინემატოგრაფი იზიდავს, მელანი ნამდვილი ამერიკული "ვარსკვლავია" და ამიტომ დაჟინებით მოითხოვს, რომ მისი ოჯახი (იგულისხმება, რა თქმა უნდა, მეუღლე ანტონიო და შვილი სტელა) მუდმივად შეერთებულ შტატებში ცხოვრობდნენ...

## დიდი საიდუმლო

ბოლოსდაბოლოს დასრულდა დავა კლოდ გიუბლეს (რომელიც ცნობილია, როგორც სკანდალური წიგნის "დიდი საიდუმლოს" ავტორი) წიგნის ირგვლივ. მასში დაწვრილებით არის აღწერილი ფრანსუა მიტერანის ავადმყოფობა. პარიზის ტრიბუნალმა მიტერანისათვის მიყენებული მორალური ზარალი 20 ათას დოლარად შეაფასა. პრეზიდენტის შვილები - ორი ვაჟი და ქალიშვილი ბატონ გიუბლესაგან მიიღებს 16-16 ათას დოლარს. "დიდი საიდუმლოს" გავრცელება სასამართლომ აკრძალა.

## მან დამიბრუნა ღიმილი...

ცნობილი იტალიელი მსახიობი ქალი კლაუდია კარდინალე თავისი მოგონებების წიგნში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თავად თვლის წიგნის იმ ნაწილს, რომელშიც საუბრობს საუკუნის დიდ რეჟისორზე ლუკინო ვისკონტიზე. "ეს თავი ეხება არა მარტო ჩემს კარიერასა და სამუშაოს. ლუკინო იყო და სამარადჟამოდ დარჩება მთელი ჩემი არსებობის ნაწილად. იგი დავანებულია ჩემს ფიქრშიცა და ხსოვნაშიც. მე გამუდმებით ვგრძნობ მის არსებობას კონკრეტულად და მატერიალურად - ჩემს დღევანდელ სახეში, ხედვის მანერაში, ჩემს ხელებში...



იმიტომ რომ ყველაფერში - ეს ყველაფერი კი მეტად ბევრია, - რაც მან მასწავლა, იგრძნობოდა და კვლავაც იგრძნობა ჩემი დამოკიდებულება საკუთარი სხეულისადმი, ფეხების, მხრების, ხელების, თვალებისადმი. სწორედ მან მასწავლა მათი მართვა. მან, თუ შიძლება ასე ითქვას, დამიბრუნა მხედველობა, დამიბრუნა ღიმილი, სწორედ მას ვითვალისწინებ, ყოველთვის, რასაც უნდა ვაკეთებდე - როცა ვიცინი, როცა ვფიქრობ, როცა ვტირი, ვყვირი თუ ვიცინი კინოკამერის წინ..." - ასე იწყებს აღსარებას კლაუდია კარდინალე.

## შეგიძლიათ მიირთვათ 10 კილოგრამი ყვავილის მტვერი?

ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები, რომელთაც სავსებით არ გააჩნდათ ცივილიზაციის რაიმე ნიშანიც კი, ბევრს მოძრაობდნენ, ჩვენსავით ძირითადად სავარძლებში მოკალათებულნი კი არ ატარებდნენ დღის უმეტეს ნაწილს. რაკი სულ მოძრაობაში იყვნენ, შესაბამისად დიდი ენერგიის გალებაც უხდებოდათ. ისინი საშუალოდ 6 ათას კალორიას ხარჯავდნენ და ამიტომ, რომ იცოდეთ, რამდენს ჭამდნენ! ჭამით რაკი ბევრს ჭამდნენ, შესაბამისად ღებულობდნენ მცენარეულ პროდუქტებს ცოცხალი სახით. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ადამიანის საკვებს (ხარისხის მიხედვით) არც შემდგომ საუკუნეებში განუცდია დიდი ცვლილება. მხოლოდ ჩვენს - მეოცე საუკუნეში, უფრო ზუსტად, ამ საუკუნის უკანასკნელ 40 წელიწადში მოხდა მკვეთრი ცვლილება. ადამიანი ჩაბრძანდა მანქანაში, მიუჯდა კომპიუტერს და მისი ენერგიის ხარჯვა 2,5 კილოკალორიამდე შემცირდა. ამის გამოა უფრო ნაკლებს რომ ვჭამთ. არადა, ჯანმრთელობისთვის აუცილებელია გარკვეული ოდენობით ვიტამინების მიღება. სადღეღამისოდ აუცილებელი 1,5 მილიგრამი ვიტამინის მისაღებად საჭიროა 1 კილოგრამი შავი პური ან ნახევარი კილო უცხიმო ხორცი. ვიტამინ B-ს აუცილებელი ოდენობით მისაღებად საჭიროა მთელი ერთი კილო ვაშლის მიღება. ვინც თამბაქოს ეწევა, მისთვის არც ეს იკმარებს. მეცნიერთა აზრით, მთელი ამ დოზის ათვისება შესაძლებელია ყვავილის მტვრის სახით, მაგრამ განა ვინმე შეძლებს 10 კილოგრამი ყვავილის მტვრის შეჭმას? მაშ, რა ვქნათ, რა და ისევ მეცნიერები გვირჩევენ, მივირთვათ მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებშიც ჩვენთვის საჭირო ვიტამინები მოიპოვება. მომავალში კი ვინ იცის, ეგებ პილიულებით გამოგვკვებონ. მარგარეტ ტეტჩერს რომ ჰკითხეს, დილით საუზმედ რას მიირთმევო, ფინჯან ყავას და ერთ აბ ასკორბინის მჟავასო. თქვენ რომ იგივე შეგეკითხონ მოგმართონ, რას უპასუხებთ?

## "მარცხენა" შემოსავლები

მას შემდეგ, რაც ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს ორმოცდაექვსი წლის თანამშრომელმა ბანკში თავის ანგარიშზე 20 ათასი შეიტანა, პირველად მაშინ მოხვდა ეჭვქვეშ. იმ 12 ათასმა კი, რაც თავის ვაჟიშვილს მანქანის საყიდლად მისცა (მისი ხელფასი არ აჭარბებდა წელიწადში 73 ათას დოლარს) საბოლოოდ დაარწმუნა სადაზვერვო ბიურო, რომ ნიკოლსონს "მარცხენა" შემოსავალი ჰქონდა. ახლა მას სიკვდილამდე პატიმრობა ან სასიკვდილო განაჩენი ელის. მას ამხელენ შპიონაჟში რუსეთის დაზვერვის სასარგებლოდ. როგორც ცენტრალური სადაზვერვო ბიურო ამტკიცებს, რუსეთის დაზვერვისთვის ორი წლის მუშაობაში ნიკოლსონს მოსკოვიდან მიღებული აქვს 120 ათასი დოლარი. სხვათაშორის, საბჭოთა აგენტმა ოლდრიჯ ეიმსმა, რომელიც 1994 წელს შეერთებულ შტატებში უშიშროების სამსახურმა დააპატიმრა, "კაგე-ბე"-სთვის გაწეულ სამსახურში 5 მილიონი დოლარი (წელიწადში საშუალოდ 550 ათასი) მიიღო.

## ბილ ჰეიტსის სახლი

კომპანია "Microsoft"-ის მესაკუთრის ბილ ჰეიტსის ახალი სახლი 40-50 მილიონი დოლარი ჯდება. 1966 წელს, როცა ჰეიტსი სახლის დაპროექტებას იწყებდა, სავარაუდო ფასი 10 მილიონს არ აღემატებოდა.

მშენებლობა უკვე 10 წელია მიმდინარეობს და მომავალი წლის გაზაფხულისათვის დასრულდება. ერთმანეთთან გადასასვლელებით დაკავშირებულ ხუთ ბუნკერს 4500 კვადრატული მეტრი უკავია. მთავარ კორპუსში საცხოვრებელი ნაგებობებისა და სამი სამზარეულოს გარდა განლაგებულია თეატრი 20 მაყურებლისათვის, სხდომათა დარბაზი 100 ადამიანისათვის, პირადი ბიბლიოთეკა, რომელშიც 15 ათასი ტომია. არც ღია თუ დახურული აბაზანები გამორჩენიათ, რომლებშიც მინერალური წყალი იქნება, და არც 18 მეტრიანი აუზი და კალათბურთისა და ჩოგბურთის კორტები. სახლის უკან - მიწისქვეშა გარაჟია 20 მანქანისათვის. დაცვის უფროსის 1,4 მილიონი დოლარიანი რეზიდენცია და კოტეჯი სტუმრებისათვის. სახლს ავეჯით რომ გააწყობენ, მისი ფასი კიდევ "ორიოდ" მილიონი დოლარით მოიმატებს.

# შობა-ახალწელიწადი კარს მოგვადგა

საახალწლო სამზადისი უკვე დაიწყო.

ქართველი კაცი, ტრადიციულად ახალ წელს საკუთარ ოჯახში ეგებება. ხანოვაგით დატვირთულ სუფრას მიუჯდება და თავანკარა ქართული ღვინით სავსე სასმისით მიულოცავს ახალ წელს თავისიანებს. დიასახლისი გოზინაყს შემოგვაგებებთ...

ჩვენ ხომ სხვათა ტრადიციებიც გვაინტერესებს. განსაკუთრებით კი აღმოსავლური. განა აღმოსავლური კალენდრით არ ვადგენთ თუ რისი წელია, ანდა რა ფერის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვათ?..

იაპონელები, ჩვეულებივ, ახალ წელს რომ ხვდებიან აუცილებლად ბინას დაალაგებენ, აბაზანას მიიღებენ და ახალნაყიდ ტასაცმელში გამოეწყობიან ხოლმე. რაკილა ჩვენთანაც ასე პოპულარული გახდა იაპონური კალენდარი და ყოველ წელიწადს იაპონელებივით ხან ლომისას ვუწოდებთ, ხან მამლისას და ხან ვირთხისას... ალბათ, ისიც უნდა ვიცოდეთ, თუ მომავალი წელი რისი წელია, მერე ამ წელს რა შეეფერება, რა ჩაიცვათ, როგორ მოვიქცეთ და ასე შემდეგ.

უნდა მოგახსენოთ, რომ დამდეგი წელი აღმოსავლური კალენდრის მიხედვით წითელი ხარის წელიწადია. ალბათ, უკვე მიხვდით, რომ საახალწლო კოსტუმში აუცილებლად მოჭარბებული იქნება წითელი ფერი. მაგრამ ერთი დეტალი ალბათ არაფერია, იაპონელების წინასწარმეტყველების გარდა ხომ არსებობს დანარჩენი მსოფლიო მოდით დადგენილი საზეიმო ჩაცმულობაც (რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენს ეროვნულ მოდაზე), ალბათ, მათი გათვალისწინებაც მოგვიწევს.

წითელი ხარის წელი - კონსერვატორთა წელია. რას იზამთ, შეიძლება ზოგს არ მოეწონოს, მაგრამ თუ აღმოსავლურ კალენდარს ითვალისწინებთ, მაშინ კეთილი ინებეთ, ბატონებო, და მოთხოვნებიც აღასრულეთ.

მაშ ასე, კონსერვატორები ხომ იცით, როგორი ხალხია - მათ დიდად არც ჩაცმულობაში მოსწონთ მკვეთრი ცვლილებები და სიახლეები, ამიტომ თქვენი საახალწლო კოსტუმი არ უნდა იყოს ზედმეტად ექსტრავაგანტული. თუმცა წითელი ფერი და სტიქიის ნიშანი - ცეცხლი იმაზე მეტყველებენ, რომ ჩაცმულობა ზომიერად სექსუალური უნდა იყოს. "კუტიურე"-ს ბოლო დეფილეზე უპირატესობა მიანიჭეს კონსერვატორულ, მაგრამ იმავე დროს სექსუალურ კაბას.

საღამოს ტუალეტის სილუეტი გრძელ და ვიწრო შალითას უნდა მოგაგონებდეთ. რომ გითხრათ კაბები გართულდა-თქო, ამით სინამდვილეს ვერ გამოვხატავთ. ზოგი მათგანი ორ-სამ ნაწილადაც დაიყო. მათგან ორი - ქვედა და ერთი ზედა ნაწილია. თვითონ შალითა ორი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს - ვიწრო ბოლო კაბისაგან და ლიფისაგან - რომელიც საშინაო კოსტუმის ზედა ნაწილს მოგაგონებთ, ამ მიზნისთვის შესაფერისია ტრიკოტაჟი Lycra ან აბრეშუმი, ოღონდ ირიბად აჭრილი (ამ შემთხვევაში აბრეშუმი ლამაზად ეკვრის ტანს). ვიწრო ბოლო კაბა რომ მოხერხებული იყოს, გვერდებზე შეიძლება მაღალი ჭრილის გაკეთება, რაც კაბას სექსუალურობას შესძენს.

ახალ წელს, სხვათაშორის, ქალებთან ერთად მამაკაცებიც, თუ მათზე მეტი არა, არც ნაკლები ხალისით ეგებებიან ხოლმე. გარკვეულ სიახლეებს მათაც სთავაზობს დღევანდელი მოდა. მოგეხსენებათ, მამაკაცთა უმრავლესობას ზამთარში თბილი სვიტერი ან პულოვერი აცვია ხოლმე. რანაირი ნაქსოვები დაამშვენებენ წელს მამაკაცებს? მაგალითად, ლონდონში, როგორც ამბობენ, კაცები "გადარეულები" ყოფილან უხეშად, ხელით ნაქსოვ ან ხელით ნაქსოვის მინამგვანებ სვიტერზე და კარგადაც იქცევიან - ნისლიანი ალბიონის ზამთარში ამაზე უკეთესს ნამდვილად ვერაფერს ინატრებს კაცი.

ფრანგი მამაკაცები, მოგეხსენებათ, მსოფლიოში ყველაზე დახვეწილად რომ არიან ცნობილნი, სრულიად თავისუფლად გრძნობენ თავს ფუმფულა მოჰერის ჯემპრეებში. განსაკუთრებით თეთრი ნაქსოვები ფასობს. მაგრამ "წითელი ხარის" წელიწადს ისინიც თავისას მიუზღავენ და წითელ ან ალუბლისფერ ან ღვინისფერ სვიტერში გამოწყობილნი შეეგებებიან.

არც სამკაულები დაგავიწყდეთ!

წითელი ხარის ახალ წელს აუცილებლად ოქროთი უნდა შეხვდეთ. რაც მეტი ოქრო გექნებათ, მით უფრო კმაყოფილს დატოვებთ, მით უფრო აამებთ და ასიამოვნებთ ამ წლის ღვთაებასო, - ასე ფიქრობენ იაპონელები. ისინი იმასაც ამბობენ, აუცილებლად ბედნიერებას ეწევით, თუ ახალი წლის პირველ დღეს მზის ამოსვლას შეეგებებითო.

მაშ ასე, თამამად აისხით ყველა სამკაული - სამაჯურებიც, საყურეებიც და ოქროს ძეწკვებიც. დაგავეთ და დაასუფთავეთ ბინა, ჩაიცვით ალუბლისფერი კაბა, მეტისმეტი ეფექტისათვის შეგიძლიათ ცხვირშიც გაიკეთოთ ოქროს რგოლი... თუ შეგიძლიათ, რა თქმა უნდა. ხარებს თურმე ეს ძალიან მოსწონთ. განსაკუთრებით კი წითელ ხარებს (ქართულად მათთვის იქნებ ღვინია ხარებიც დაგვერქმია). ერთი სიტყვით, ხალისიანად და მხიარულად შეეგებეთ ახალი წლის განთიადს, ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ აღმოსავლური კალენდრით ახალი წელი მხოლოდ 7 თებერვალს დგება...

მანამდე კი... მოდით გავიხსენოთ, ჩვენი ძველი, ეროვნული ტრადიციები, გავითვალისწინოთ ჩვენი მატერიალური შესაძლებლობები და როგორც შეგვიძლია და როგორც შეგვიძლია ისე გავიხალისოთ და გავალამაზოთ მომავალი ახალიწელიწადი, ჩვენს ოჯახებთან ერთად მოსავლის იმედით შევეგებოთ მას.

შეგახსენებთ, საშობაო სამზადისი უკვე დაიწყო.

25 დეკემბერს კათოლიკეთა შობაა, 7 იანვარს კი ჩვენი მართლმადიდებლებისა.

ღმერთი კი ერთია. ის ყველა დროს, ყველა ზეიმს და მისადმი სადიდებელს ერთნაირად მოგვითვლის.

**თიალა კალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ეკონომიკა

## სასარგებლოა თუ არა ინფლაცია "მცირე დოზით"

საბაზრო ეკონომიკაზე გადამსვლელი ქვეყნებისათვის ინფლაცია ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია. უკვე განვითარებულ ქვეყნებში 30 წლიანი ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს მის მინიმუმამდე დაყვანას. თითქოს ყველა პრობლემა მოიხსნა. ახლა რაღა აკეთონ ამ სახელმწიფოების ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელებმა?

80-იანი წლების დასაწყისში მათ წინაშე იდგა ამოცანა შეეჩერებინათ ინფლაციის ზრდის ტემპები. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი საშიშროება დღის წესრიგიდან მოხსნილია, რადგან წლიური ინფლაცია დაახლოებით 3 პროცენტს შეადგენს. საჭიროა თუ არა, რომ მოხდეს მისი ნულამდე დაყვანა?

საკამათო აღარ არის, რომ ინფლაციის მაღალი ტემპები ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ თუ იგი მისაღებ ზღვარზე დადგა, უნდა ვისწრაფოდეთ, რომ საერთოდ არ არსებობდეს?

ამ საკითხზე კომპეტენტურ სპეციალისტებს განსხვავებული აზრი აქვთ. ლონდონში გამომავალ ჟურნალ "ეკონომისტის" ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ცენტრალურმა ბანკებმა არ უნდა დაიყვანონ ინფლაცია 3-4 პროცენტზე დაბლა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის "დაჭერაზე" დახარჯული თანხები აღემატება მიღებული შედეგით წარმოშობილ მოგებას. მცირე ინფლაცია დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და აუმჯობესებს დასაქმებას.

ახლახანს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკის ინიციატივით კანზასში მოეწყო მორიგი ყოველწლიური სიმპოზიუმი, სადაც განვითარებული ქვეყნების ნაციონალური ბანკის ხელმძღვანელებმა სწორედ ამ საკითხზე იმსჯელეს.

ისინი ამტკიცებდნენ, რომ სტაბილური ფასები მონეტარული პოლიტიკის ერთადერთი "გრძელვადიანი" მიზანია. აბსოლუტურ უმრავლესობას დასაშვებად მიაჩნია, რომ 1-3% ინფლაცია არ არის საზიანო. ეს მასაჩუსეტსელების მხარდასაჭერად არ თქმულა. ბანკირების აზრით, ოფიციალური სტატისტიკა ინფლაციის ტემპებს რეალურზე მაღალს აჩვენებს.

ამერიკელები ამტკიცებენ, რომ ინფლაციის ტემპის დათვლა სულ უფრო და უფრო რთული ხდება, რადგან სხვადასხვა დასახელების საქონლის და მომსახურების ხარისხის ელვისებური ცვლილება საშუალებას აღარ იძლევა მოხდეს ყოველი გამოშვებული პროდუქციის ღირებულების დადგენა. ამის გამო წარმოიქმნება ფასების ცვალებადობა.

გამოკვლევა ცხადყოფს, რომ აშშ-ს ფასების ინდექსი სამომხმარებლო საქონელზე ყოველთვის აღემატება რეალურ ინფლაციას. ეს ნიშნავს, რომ ოფიციალური მაჩვენებელი (1-3%) რეალურ გამოსახულებაში ნულის ტოლია.

ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები სკეპტიკურად უყურებენ იმ აზრს, რომ ინფლაციის უფრო მაღალი ტემპი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

სტაბილური ფასები არის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. მთავრობა ყოველმხრივ უნდა ეცადოს, რომ შრომის ბაზარი იყოს მოქნილი. გარდა ამისა, საჭიროა ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრა და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური სტიმულირების გამოყენება.

აშშ-ს ეკონომიკური გამოკვლევის ნაციონალური ბიუროს ხელმძღვანელი თვლის, რომ ინფლაციის ტემპის 2 პუნქტით დაწევა (3-4-დან 1-2-მდე) საერთო შიდა პროდუქციის მოცულობას 1 პროცენტით ზრდის.

უკანასკნელი წლების მანძილზე გერმანიაში ინფლაცია 1-3%-ის ფარგლებში მერყეობს. შიდა პროდუქტი საშუალოდ წლის განმავლობაში 6%-ით გაიზარდა. ამერიკელი სპეციალისტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ინფლაციის ტემპზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ინფლაცია 3%-ს შეადგენს. მეორე კვარტალში პროდუქციის გამოშვება 4,8%-ით გაიზარდა. ეკონომიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ მესამე და მეოთხე კვარტალში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება, ვიდრე შემცირდება. იმის შიშმა, რომ საპროცენტო განაკვეთებზე შეიძლება მოხდეს პროცენტის გადიდება (ერაყში მომხდარი ინციდენტის გამო), უკვე გამოიწვია თითქმის 7 პროცენტით შემოსავლის შემცირება გრძელვადიან სახაზინო ობლიგაციებზე.

განაკვეთების გაზრდა აშშ-ში, შეიძლება ითქვას, აუცილებლობას წარმოადგენს. გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად აგვისტოს შემდეგ შრომის ბაზარზე მუშახელზე მოთხოვნა გაიზარდა. ამიტომ საჭიროა მოხდეს საპროცენტო განაკვეთის გაზრდა.

გამოკითხვებმა ცხადყო, რომ აშშ-ს მოსახლეობას ინფლაციის პრობლემა აღარ აწუხებს.

საქართველოში ჩვენდა სასიხარულოდ ინფლაციის პრობლემა უკვე ისე მწვავედ აღარ დგას. თუმცა, როგორც ვხედავთ, მან თავსატეხი ამერიკელებსაც კი გაუჩინა.

"ეკონომისტი"



## ოქრო გაიაფდა

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ოქროს ფასი 377 დოლარამდე დაეცა. ეს საკმაოდ მოულოდნელი იყო. დილერები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ამისა, წლის ბოლოს მოხდება ძვირფას ლითონებზე ფასების ტრადიციული აწევა.

აღსანიშნავია სპეციალისტების დასკვნაც. მათი განმარტებით, 1996 წლის მე-3 კვარტალში მსოფლიომ 2 პროცენტით ნაკლები ოქრო მოიხმარა 1995 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

## ალუმინი გაძვირდა

სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ლონდონის ლითონების ბირჟაზე ალუმინის ფასმა 1916 დოლარამდე აიწია. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. პირველადი ალუმინის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მსოფლიოში ალუმინის მოპოვების ტემპები მნიშვნელოვნად იზრდება. ამან, ბუნებრივია, ლითონის გაიაფება უნდა გამოიწვიოს, რეალურად კი ფასი იზრდება. უფრო მეტიც, დილერების აზრით, ღირებულება კვლავაც მოიმატებს.

## სპილენძის ფასი იმატებს

ლონდონის ბირჟაზე სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით სპილენძის ფასმა თითქმის 200 პუნქტით მოიმატა და 2209 დოლარს მიაღწია. მომავალში კვლავაც მოსალოდნელია იგივე ტენდენციის გაგრძელება, რადგან დილერებმა მასობრივად დაიწყეს აღნიშნული ლითონის შეძენა.

როგორც ირკვევა, ბირჟის საცავებში უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში სპილენძის მარაგი 65%-ით შემცირდა.

## ნიკელის ღირებულება ქ[illegible]

ლონდონის ლითონების ბირჟაზე ნიკელის ფასი კიდევ 200 პუნქტით დაეცა და 6940 დოლარი შეადგინა.

დილერები ამას შემდეგი ფაქტით ხსნიან. მსოფლიო ნიკელის 70 პროცენტს უჯანგავი ლითონების მწარმოებლები ყიდულობენ. ახლა კი ისინი ნაკლებად აქტიურობენ და მიწოდება მოთხოვნას ბევრად აღემატება. სპეციალისტები ფასის ზრდას მაინც მოელიან, რადგან ახალი წლის შემდეგ ისინი მაქსიმალურად დატვირთავენ თავიანთ საწარმოებს.

## ნავთობის ფასი ცვალებადია

იანვრის ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე გასული კვირის ბოლოს ნავთობის ფასი 23,1 დოლარზე გაჩერდა, კვირის დასაწყისში კი მხოლოდ 22,5 დოლარს შეადგენდა.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ერაყი შეთანხმდნენ, რომ ერაყი ნავთობის სანაცვლოდ მიიღებს სურსათს. ამ გარიგების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი და ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციები არსებობს. სპეციალისტების აზრით, სწორედ ეს საინფორმაციო ვაკუუმი იწვევს ნავთობის ღირებულების ცვალებადობას.

## ვალუტის ოფიციალური კურსები

### (დსთ და ბალტიისპირეთი)

| რესპუბლიკა (ვალუტა) | 1$ | ცვლილება | რუს.რუბ. 1000 | ცვლილება |
|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი (მანათი) | 4147.0 | 0 | 750 | -10 |
| სომხეთი (დრამი) | 434.1 | 0.45 | 78.5 | -0.1 |
| ბელორუსია (ბელ.რუბ.) | 15250.0 | +100 | 2770 | +10 |
| საქართველო (ლარი) | 1.28 | 0 | 0.225 | 0 |
| ყაზახეთი (თენგე) | 70.45 | +0.4 | 13.6 | 0 |
| ყირგიზეთი (სომი) | 16.35 | +0.63 | 2.9727 | +0.1077 |
| ლატვია (ლატი) | 0.552 | +0.004 | 0.1004 | -0.0006 |
| ლიტვა (ლიტი) | 4.0 | 0 | 0.726 | -0.002 |
| მოლდოვა (ლეი) | 4.6743 | +0.0083 | 0.846 | 0 |
| რუსეთი (რუბლი) | 5503.0 | +12 | - | - |
| ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.) | 301.0 | 0 | 56.0 | 0 |
| თურქმენეთი (მანათი) | 4050.0 | 0 | 736.9 | -1.34 |
| უკრაინა (გრივნა) | 1.874 | +0.04 | 0.341 | 0 |
| უზბეკეთი (სუმი) | 51.1 | +0.1 | 9.3 | 0 |
| ესტონეთი (კრონა) | 12.2548 | +0.272 | - | - |

## მყარი ვალუტის კურსები

| | აშშ | ინგლ. | შვეიც. | 100 იაპ. | 1000 იტალ | გერმ. | ფრანგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფრანგული ფრანკი | 5.1796 | 8.6862 | 4.0028 | 4.5669 | 3.4219 | 3.3896 | - |
| გერმანული მარკა | 1.5281 | 2.5626 | 1.1809 | 1.3474 | 1.0095 | - | 0.2950 |
| იტალიური ლირა | 1513.7 | 2538.4 | 1169.8 | 1334.6 | - | 990.56 | 292.24 |
| იაპონური იენა | 113.42 | 190.20 | 87.647 | - | 74.927 | 74.220 | 21.896 |
| შვეიცარ. ფრანკი | 1.2940 | 2.1700 | - | 1.1409 | 0.8549 | 0.8468 | 0.2498 |
| ინგლისური გირვ. | 0.5963 | - | 0.4608 | 0.5257 | 0.3939 | 0.3902 | 0.1151 |
| აშშ დოლარი | - | 1.6770 | 0.7728 | 0.8817 | 0.6606 | 0.6544 | 0.1930 |

## ძირითადი საბირჟო საქონლის ფასები მსოფლიო ბაზარზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ოქრო ($ უნც) | 373.00 | ნავთობი ($ ბარელი) | 22.72 |
| ალუმინი ($ ტ) | 1536.5 | ხორბალი | |
| სპილენძი ($ ტ) | 2243 | (ინგ.გირვ. ტ) | 95.00 |
| ნიკელი ($ ტ) | 7055 | თეთრი შაქარი ($ ტ) | 301.80 |

# მომხმარებელთა ინტერესები ყოველთვის დაცულია

1939 წელს ანტიამერიკული საქმიანობის საგამოძიებო კომისია აცხადებდა: "რაც ცუდია "ჯენერალ მოტორსისათვის", უვარგისია ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც". სწორედ ამ კომისიამ ჩარიცხა "მომხმარებელთა კავშირი" ისეთი ორგანიზაციის სიაში, რომლებიც თავისი საქმიანობით ამერიკული ცხოვრების წესს უთხრიან ძირს. მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, კავშირმა ყურადღება არ მიაქცია ბრალდებას და თავის ჟურნალში "მომხმარებლის მოამბე" ექსტრავაგანტული პასუხი დაბეჭდა: "თუ ცუდი, უვარგისი და გაფუჭებული პროდუქციის რეკლამირების წინააღმდეგ გამოსვლა კომუნისტური პროპაგანდაა, მაშინ მედიკამენტებზე და საკვებ პროდუქტებზე ზედამხედველობის ფედერალური ასოციაცია, ფედერალური სავაჭრო კომისია და ამერიკის ასოციაცია თავის გასამრჯელოს, ალბათ, მოსკოვიდან იღებენო..." (ასეთი სახის განცხადებით კავშირმა საკმაოდ რისკიანი ნაბიჯი გადადგა, რადგან ეჭვქვეშ დააყენა ამერიკის სამი უდიდესი სავაჭრო ორგანიზაციის ავტორიტეტი).

"მომხმარებელთა კავშირს" ბევრჯერ უჩივლეს სასამართლოში ცილისწამებისათვის, მაგრამ მათდა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ არცერთი პროცესი არ წაუგიათ. მაგალითად, კავშირი გარკვეული მიზეზით ნებას არ აძლევდა სამკურნალო ნაწარმის მიმწოდებელ ერთ-ერთ ფირმას თავისი საქონლის რეკლამა გაეკეთებინა, ხოლო თუ ეს უკანასკნელი აკრძალვის მიუხედავად რეკლამის ჩვენებას განაგრძობდა, მაშინ ჯერ მიიღებდა გამაფრთხილებელ ბარათს "მომხმარებელთა კავშირის" იურისკონსულტის ხელმოწერით, შემდეგ კი კავშირის ჟურნალში ქვეყნდებოდა მომხმარებელთა პრეტენზიით სავსე წერილები, თანაც რუბრიკით "სამარცხვინო ბოძთან". ჩვეულებრივ, ეს სისტემა ამართლებდა, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არ იყო, ურჩ ფირმას სასამართლოში ელოდა საქმის განხილვა.

"მომხმარებელთა კავშირი" დაარსდა 1927 წელს ეკონომისტ სტიუარდ ჩეიზის და ინჟინერ ფრიდრიხ შლინკის ინიციატივით, ეს უკანასკნელი მანამდე სტანდარტების ნაციონალურ ბიუროში მუშაობდა. მათ გამოაქვეყნეს სტატია მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ. შლინკმა გამოსცა წიგნი-ბესტსელერი "ასი მილიონი საცდელი კურდღელი", სადაც აფრთხილებდა მკითხველს, რომ ხშირად მაღაზიებში საქონლის ყიდვისას, ადამიანებს ოჯახში ხიფათი შემოაქვთ. მაგალითის სახით, ტიპიურ ისტორიად მოყვანილია შემთხვევა, თუ როგორ დაამთავრა თვითმკვლელობით სიცოცხლე ერთმა გერმანელმა ოფიცერმა, შეჭამა რა მთელი ტუბი კბილის პასტა "პებეკო". კომენტარის სახით ავტორი ზიზღნარევი ირონიით ამბობს: "სიცოცხლის დასასრულებლად "პებეკო"-ს მესამედიც საკმარისი არისო".

თავიდან ფრიდრიხ შლინკმა დააარსა პატარა კლუბი, სადაც ენთუზიასტები იკრიბებოდნენ, რომელიც მერე სამომხმარებლო საქონლის საექსპერტიზო სააგენტოში გადაიზარდა. შლინკი ცუდი ხელმძღვანელი აღმოჩნდა, ამიტომ მისმა თანამშრომლებმა დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს საკუთარი ორგანიზაცია "მომხმარებელთა კავშირი" და დაიწყეს ჟურნალ "მომხმარებლის მოამბეს" გამოშვება. ამ უკანასკნელმა მაშინვე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა, შემოსავლის ხარჯზე კი კავშირმა ექსპერტიზისათვის საქონლის შესყიდვა დაიწყო. ამავე დროს გამოჩნდნენ მეგობრები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში, რომლებიც ინკოგნიტოდ იძენდნენ გადამყიდველებისაგან საქონელს და გზავნიდნენ კავშირში შესამოწმებლად.

1990 წლისათვის "მომხმარებელთა კავშირმა" თავისი 42 ლაბორატორია და 350 მოსამსახურე გადაიყვანა ახალ შენობაში, რომელიც ჟურნალის მკითხველთა შემოწირული თანხების ხარჯზე შეიძინა, აგრეთვე მოაწყო ავტომობილების საცდელი პოლიგონი კონექტიკუტის შტატში. როგორც აღინიშნა "მომხმარებელთა კავშირის" ერთ-ერთმა გამომცემელმა, საავტომობილო დედაქალაქ დეტროიტს მსგავსი პოლიგონი რომ ჰქონოდა, ამერიკა დაცული იქნებოდა ამდენი ცუდად მართვადი მანქანის გამოშვებისგან, სადაც ერთდროულად 6-7 ავტომობილის გამოცდა ტარდება. თანაც ყოველთვის არსებობს ადგილობრივი მოსახლეობის ნებაყოფლობითი კონტინგენტი, რომელიც მზადაა გასინჯოს ფუნთუშების, კექსებისა თუ ღვეზელების ხარისხი.

მართალია, ამერიკის "მომხმარებელთა კავშირი" ყიდულობს საქონელს ექსპერტიზისათვის, მაგრამ დანახარჯების გარკვეულ კომპენსაციას ნაყიდი საქონლის შედარებით იაფ ფასებში ისევ თავის თანამშრომლებზე გაყიდვით ახორციელებს, სამაგიეროდ ნამდვილად მყარი გარანტიით.

დათო ყანჩაველი

# პრეტენდენტები უკვე ცნობილია

ყოველწლიურად მსოფლიოს საუკეთესო ათლეტებს ენიჭებათ საყოველთაოდ ცნობილი სპორტსმენის ჯესი ოუენსის სახელობის პრესტიჟული პრემია. მიმდინარე წელს კონკურსში მონაწილეთა სახელები უკვე ცნობილია. ესენი არიან ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულები: ამერიკელი მაიკლ ჯონსონი (200 და 400 მეტრზე რბენა), კანადელი სპრინტერი დონოვან ბეილი, ფრანგი მარიქო პერეკი, სამხრეთაფრიკელი მოცურავე პენელოპა ჰაინსი, ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი (400 მეტრზე თავისუფალი, 200 და 400 მეტრი კომპლექსური სტილით ცურვა) ირლანდიელი მიშელ სმიტი, ამერიკელი ემი ვან დაიკენი, ჩინელები ფუ მინ სია (წყალში ხტომა) და ლი სიაო შუანი (ტანვარჯიში), კუბელი მოკრივე ფელიქს სავონი და მძიმე წონის თურქი ძალოსანი ნაიმ სულეიმანოღლი, რუსი მოცურავე ალექსანდრე პოპოვი.

კონკურენცია, როგორც სიიდან ჩანს, დიდია, მაგრამ შანსი ყველას ერთნაირი არა აქვს. პროგნოზი უმადური საქმეა, თუმცა სპეციალისტები ამას ანგარიშს არ უწევენ და ვარაუდობენ, რომ პრემიის მიღების ყველაზე დიდი შესაძლებლობა მაინც მაიკლ ჯონსონსა აქვს. ჯერ ერთი, 200 და 400 მეტრებზე გამარჯვებასთან ერთად მან ორივე დისტანციაზე მსოფლიო რეკორდები დაამყარა, მეორე - იგი არა მარტო ატლანტაში, არამედ საერთოდ ბოლო წლებში საუკეთესო შედეგებს აჩვენებს.

თუ ვარაუდი გამართლდა და ოუენსის პრემიას ჯონსონი დაეუფლა, მაშინ იქნება მსოფლიოში პირველი სპორტსმენი, რომელიც ამ პრიზს მეორედ დაეუფლება.

იქნება თუ არა ასე, ეს გაირკვევა 1997 წლის 4 თებერვალს, როცა ნიუ-იორკში პრიზის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება.

*სურათზე: ოუენსის პრემიის პრეტენდენტები დონოვან ბეილი (მარცხნივ) და მაიკლ ჯონსონი. შუაში დგას პრომოუტერი გიზელა ბრიდენი.*



## ახლა გრანდებსაც ძალიან უჭირთ

პორტუგალიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი "ბენფიკა" იძულებულია შეელიოს ქვეყნის ეროვნული ნაკრების ცენტრალურ მცველს ელდერს. იგი ამიერიდან ისპარეზებს "დეპორტივოს" შემადგენლობაში. კონტრაქტი ხუთი წლის ვადით გაფორმდა და გუნდს იგი 750 მილიონი ესკუდო (5 მილიონი დოლარი) დაუჯდება.

## მომავალს ოპტიმისტურად უყურებს

ფრანგულმა l'Equpe-მ გამოაქვეყნა ინტერვიუ მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან, ამერიკელ ველოსიპედისტთან ლენსი არმსტრონგთან, რომელსაც ახლახან კიბოს ოპერაცია გაუკეთეს. ლენსი, როგორც ჟურნალისტთან საუბრიდან ჩანს, ოპტიმისტურად არის განწყობილი. იგი აპირებს გააგრძელოს კონტრაქტი თავის ძველ კლუბთან ფრანგულ "კოფიდისთან", ხოლო ვარჯიში დაიწყოს დეკემბრის ბოლოს. ამჟამად არმსტრონგი დღეში თურმე საათნახევარს უთმობს ფიზიკურ ვარჯიშებს და ფიქრობს, რომ მომავალი წლის ზაფხულისათვის ოპტიმალურ სპორტულ ფორმას აღიდგენს.

## საუკეთესო ფეხბურთელად მეკარე მიიჩნიეს

ავსტრიაში 1996 წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს 34 წლის ვენის "რაპიდის" მეკარე მიხეილ კონსელი.

კონსელი აღიარეს "რაპიდის" მიერ ევროთასებზე ჩატარებული ყველა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად. სპეციალისტებმა ასევე აღნიშნეს მისი დამაჯერებელი თამაში მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, რომელიც წელს ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა ჩაატარა.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით მეორე ადგილზეა ბრემენის "ვერდერში" მოასპარეზე ავსტრიელი ანდრეას ჰერცოგი.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 2. ოთხკუთხედი, რომელსაც მოპირდაპირე გვერდები ერთმანეთის პარალელური და ტოლი აქვს. 9. სითბოს რაოდენობის ერთეული. 10. ქართული სიგარეტის ერთ-ერთი მარკა. 11. სოფელი ადიგენის რაიონში. 12. სახელმწიფო დასავლეთ აზიაში. 14. მეცნიერების დარგი. 16. ქალაქი უკრაინაში. 17. მეცნიერება, რომელიც სწავლობს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. 19. "ვეფხისტყაოსნის" მოქმედი პირი. 21. სუსტად შეცემენტებული წვრილმარცვლოვანი ქანი, რომელიც შედგება კალციუმის კარბონატისაგან. 23. ფულისა და წონის ერთეულის სახელწოდება ფეოდალურ საქართველოში. 24. შინაური ან გარეული ცხოველის კანისაგან შეკერილი ტანის საფარველი. 26. მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთ მუსულმანურ ქვეყნებში. 27. ნარნარად, მდორედ ფრენა (დიდი ფრინველისა). 28. მაღალ მთებზე მცხოვრები დიდი მტაცებელი ფრინველი. 29. ისტორიის განვითარების ან გეოლოგიური პროცესების მიმდინარეობის პერიოდი. 32. ფართობის საზომი ერთეული. 33. მამაკაცის სქესობრივი უძლურება. 35. მადეზინფიცირებელი საშუალება. 38. ოთხში (გუდად) ამოღებული; შიგნიდან მოკუპრული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის ჭურჭელი ღვინის ან არყის ჩამოსასხმელად. 40. რკინის ნაჭერი, რომელიც ჩასმულია წისქვილის ზედა ქვაში (დოლაბში); მისი საშუალებით ბორბალი აბრუნებს დოლაბს. 41. მონასტრის წინამძღვრის შესატყვისი. 42. ქალაქი ძველ საბერძნეთში. 43. შტატი აშშ-ს აღმოსავლეთ ნაწილში.

**შვეულად:** 1. ტერმინი კრივში. 3. დადებითი ელექტროდი. 4. ეგვიპტელი ისტორიკოსი და ფილოლოგი. 5. ქართული მხატვრული ფილმი. 6. მდინარე დასავლეთ საქართველოში. 7. ასაფეთქებლად გამზადებული ფეთქებადი ნივთიერების განსაზღვრული რაოდენობა. 8. საქონლის პერიოდული ჭარბწარმოება კაპიტალისტურ საზოგადოებაში; იწვევს წარმოების შეკვეცას, წვრილ მწარმოებელთა გაღატაკებასა და უმუშევრობის ზრდას. 12. შექმნილი პირობების ერთობლიობა. 13. მერქნიანი მცენარე; ისხამს პატარა თავებად შეკრულ ყვითელ ან თეთრ ყვავილებს. 14. პოეზიის სახეობა; გამოხატავს პოეტის გრძნობებსა და განცდებს. 15. საერთო წესისაგან გადახვევა, წესის დარღვევა. 18. რუსეთის ქალაქი. 20. მზის სისტემის პლანეტა. 22. გახმაურებული ციხე-სიმაგრე ბარლინში. 23. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში. 25. მდინარე რუსეთსა და ყაზახეთში, მდინარე ობის მარცხენა შენაკადი. 30. წელიწადის ერთ-ერთი თვე. 31. ადამიანი, რომელიც პირადი სარგებლობის, გამორჩენის მიზნით მოქმედებს. 34. საშუალო სიმაღლის ხე; აქვს კურკიანი, წვნიანი, გარედან შებუსვილი ნაყოფი. 36. ნარდის თამაშის ისეთი დაბოლოება, რომელიც მოგებულს ერთ ქულას შესძენს. 37. ჭრილობა, წყლული. 39. პირობითი ნიშნების სისტემა, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადასაცემად.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. პალერმო; 4. დუგლასი; 10. ტროა; 11. ნეპტუნი; 12. აფრა; 13. არითმია; 16. კომპასი; 18. იმაგო; 20. არენა; 22. გზირი; 23. ნენი; 25. აირი; 27. ქილა; 29. ზმაი; 31. საპალნე; 32. ომერტა; 33. რანტიე; 34. ნექტონი; 35. ინა; 37. მი; 39. ბია; 40. კვალი; 42. კოლაფსი; 43. ლოკაცია; 44. ამური.

**შვეულად:** 2. ათოსი; 3. რინგი; 5. გრიმო; 6. სუფსა; 7. ეტრატი; 8. სტილეტი; 9. კანიჯა; 14. თაგინაური; 15. ამაგი; 16. კალია; 17. პარტიზანი; 19. მოლი; 21. ნომე; 24. ნისანი; 26. იბერია; 27. ქლორი; 28. პარტია; 30. ილეშა; 36. ასლი; 37. მეფე; 38. იაკი; 39. ბოცა; 40. კია; 41. ილი.

# სპორტული კალეიდოსკოპი

## იდუმალებით არის მოცული

როგორც საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნებული ცნობებით ირკვევა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ჯერ კიდევ ზუსტად ვერ განუსაზღვრავს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამენტი. არის გეგმა, მაგრამ მიღებული არ არის კონკრეტული გადაწყვეტილება, რომელიც გადასინჯვას არ დაექვემდებარება.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის ისტორიაში პირველად მისი ჩატარება მიენდო ორ ქვეყანას - იაპონიასა და კორეის რესპუბლიკას.

ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა და უეფას პრეზიდენტმა ლენერტ იუჰანსონმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ფიფას სპეციალურმა კომისიამ კატეგორიულად უარყო იაპონელთა წინადადება ფინალურ ტურნირში მონაწილე გუნდების რაოდენობა 32-დან 40-მდე გაეზარდათ და პირველი-მეორე ადგილისათვის მებრძოლი ნაკრებები ორჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს. ასევე არ მიიღეს კორეის წინადადება გადამწყვეტი მატჩის ჩატარების ადგილის კენჭისყრით განსაზღვრის თაობაზე.

მესამე ათასწლეულის პირველი ჩემპიონატის ჩატარების პირობებზე ფიფას საჭოჭმანო მდგომარეობას გაუსვა ხაზი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1994 წელს ჩატარებული ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ და ახლა მოქმედი კომისიის წევრმა ალან როტენბერგმა.

ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა სცადა უარეყო მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების ცნობები ორგანიზატორებს - იაპონიასა და კორეას შორის არსებული უთანხმოების თაობაზე. "მათ კონკრეტულ საკითხებზე აქვთ განსხვავებული თვალსაზრისი, - განაცხადა ბატონმა ბლატერმა, - მაგრამ გამოსავლის მოძებნა რომ არ შეიძლება, ამის თქმა სიცრუეა. ამ მტკიცებას საფუძველი არა აქვს".

მისი სიტყვები დაადასტურა ფიფას კომისიის წევრმა ავტორიტეტულმა იტალიელმა ანტონიო მატარეზემ: "კომპრომისი შესაძლებელია. დიდი პრობლემები არ არის. ერთს უნდა, რომ ჩაატაროს ჩემპიონატის საზეიმოდ გახსნის ცერემონიალი, მეორეს - ფინალი. ჩემი აზრით, გამოსავალიც სწორედ აქ უნდა ვეძებოთ".

ლაკონიური იყო დაპირისპირებულ მხარეთა გამოსვლებიც. "მე არ შემიძლია ვთქვა, კმაყოფილი ვარ თუ არა. ვიტყვი მხოლოდ ერთს: კომპრომისი შესაძლებელია". - განაცხადა იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა კენ ნაგანუმამ. "ბოლოსდაბოლოს ჩვენ მივიღებთ ორმხრივ ხელსაყრელ გადაწყვეტილებას". - აღნიშნა მისმა კორეელმა კოლეგამ ჩუნ მუნ იუნმა.

აქედანაც ცხადია, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამენტი ბურუსით არის მოცული, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება. დღეს, 7 დეკემბერს ბარსელონაში გაიმართება ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სადაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ყველა თავის ადგილს დაიკავებს.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.
„მესაკუთრე" რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.12.96.

მესაკუთრე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში" მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო კოლეგია